

ვასტანგ როდონია
ავთანდილ არაბული

ნინო ნაკუდაშვილი
მარინა ხუციშვილი

ქართული ენა და ლიტერატურა

VI კლასი

მასწავლებლის ნიგნი

გრიფინიჭიჭილია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს



2018

**ქართული ენა და ლიტერატურა
VI კლასის მასწავლებლის წიგნი**



ავტორები: **ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **ქეთევან გოგავა**

© „სწავლანი“, 2018 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“

მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39

ტელ.: 2 36 91 85

www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9548-7-0

V. Rodonaia, N. Nakudashvili, A. Arabuli, M. Khucishvili

GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE 6

Teacher's book

First Edition, 2018

Published by STSAVLANI Publishing

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ	
შესავალი	5
საგნის სწავლების მიზნების, ამოცანების, სტანდარტის შედეგებისა და სახელმძღვანელოს შინაარსის ურთიერთკავშირის რუკა (მატრიცა)	6
სპეციფიური საგნობრივი უნარების განვითარება.....	12
მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიები სახელმძღვანელოში	20
მოსწავლის შეფასების პრინციპები	21
2. ინფორმაცია მოსწავლის რვეულისა და ნიბნის შესახებ	
აბგის პრინციპები	26
3. მასწავლებლის ნიბნის პრაქტიკული ნაწილი	
კომენტარები ენის ნაწილის თითოეულ მსხვილ სტრუქტურულ ელემენტზე	27
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები	45
სანიმუშო გაკვეთილების სცენარები	47
4. მასწავლებლის ნიბნის დასკვნითი ნაწილი	
სახელმძღვანელოში მოცემული ზოგიერთი ენობრივი სავარჯიშოს ვასუხი	58
მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები	60

შესავალი

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა

VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

სახელმძღვანელო ოთხი ერთეულისაგან შედგება. ესენია: ლიტერატურის ნაწილი, ენის ნაწილი, ენობრივი სავარჯიშოების რვეული და მასწავლებლის წიგნი.

ლიტერატურის ნაწილში წარმოდგენილი სასწავლო მასალა დაყოფილია თავებად თემატური პრინციპის მიხედვით.

სახელმძღვანელოს ეს ნაწილი შედგება ექვსი თავისაგან. ესენია:

1. წიგნი
2. თქვენი თანატოლების ცხოვრებიდან
3. სახელოვანი წინაპრები
4. შოთა, საბა და დავითი
5. ხალხური სიტყვიერება
6. ყური მიუგდეთ ბუნებას

ენის ნაწილი დაყოფილია შემდეგ თავებად:

1. ენთა ნათესაობა
2. ქართული ენის სალარო
3. სიტყვათა კლასები. სახელები
4. სიტყვათა კლასები. ზმნა
5. წინადადება

ეს თავები, თავის მხრივ, იყოფა პარაგრაფებად.

ენობრივი სავარჯიშოების რვეულის მონაკვეთებიც ამ პარაგრაფებს მიჰყვება. იშვიათად, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სახელმძღვანელოს პარაგრაფს რვეულში შესაბამისი დავალება არ მოსდევს; ეს იქ, სადაც ჩავთვალეთ, რომ წიგნის სავარჯიშოებიც საკმარისი იყო.

ჩვენი სახელმძღვანელოს შინაარსის კავშირი საგნის სწავლების მიზნებთან და ამოცანებთან, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან ქვემოთ არის წარმოდგენილი.

**სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
შინაარსისა და მიზნების რუკა**

<p>სწავლების შინაარსი</p> <p>ლიტერატურა I თავი. წიგნი</p> <p>მოდელი — ი.ჭავჭავაძე; ქვის დედა — ლ.გოთუა; ვეფხისტყაოსანს — გ.ლეონიძე; ჩემი სოფლის სამკითხველო — ნ. შატაიძე; როგორ უყვარდათ წიგნი საქართველოში — ე. თაყაიშვილი.</p> <p>ენა I თავი. ენის სამყარო</p> <p>ენათა ნათესაობა; როგორ შექმნა ადამიანი დამწერლობა; როგორ უღერს კუთხური მეტყველება; როცა ენა დედასამშობლოს სწყდება.</p>	<p>სწავლების მიზანი და ამოცანები</p> <p>ასაკის შესაფერისი ტექსტების მოსმენის, წაკითხვისა და ინტერპრეტაციის უნარის გამომწვევა;</p> <p>კითხვის სტრატეგიების გამოყენება (წინასწარი დაკვირვება ნაწარმოების სათაურსა და ქვესათაურზე);</p> <p>ტექსტთან დიალოგის საწყისი უნარ-ჩვევის გამომწვევა;</p> <p>ტექსტის დეტალებზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამოყენება;</p> <p>მჯერლობის ტიპის ტექსტის შექმნის უნარის გამომწვევა;</p> <p>საცნობარო ლიტერატურაზე (ლექსიკონი, ენციკლოპედია, კატალოგი) მუშაობის უნარ-ჩვევის გამომწვევა.</p> <p>მხატვრულ ხერხებზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომწვევა (რითმა).</p> <p>ფერწერულ ნამუშევრებზე დაკვირვების უნარის გამომწვევა.</p> <p>ენის ისტორიული ბუდის გაცნობიერება; დამწერლობის წარმოშობის სამი ეტაპის გაცნობა; ანბანური დამწერლობის სპეციფიკის გაცნობიერება; დიალექტებზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომწვევა.</p>	<p>სასწავლო დროის მოცულობა</p> <p>დაახ. 25 აკად. საათი</p>	<p>შესაბამისობა სტანდარტის შედეგებთან</p> <p>ეართ. დანყ. (II). 1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12</p>
--	--	--	--

<p>ლიტერატურა</p> <p>II თავი . თქვენი თანატოლების ცხოვრებიდან</p> <p>ბიჭი და ძაღლი — ა.სულაკაური; ბარდნალა — ლ.ასათიანი; შეშაზე — რ.ინანიშვილი; ცხრაკარა — მ.გელოვანი; სურათებიანი წიგნი — რ.ჭეიშვილი.</p> <p>ენა</p> <p>II თავი. ქართული ენის სალარო</p> <p>როგორ გაჩნდა სიტყვა; მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები; პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; ომონიმები; სპეციალური ლექსიკა; ვინ როგორ მეტყველებს.</p>	<p>ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>ტექსტების მოსმენის, წაკითხვისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>თხრობითი ხასიათის ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება; შინაარსის გადმოცემის უნარის გამომუშავება;</p> <p>ტექსტის სტრუქტურულ დეტალებზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება (აბზაცი, მონოლოგი).</p> <p>წერითი მეტყველების უნარის განვითარება (აღწერილობითი და თხრობითი ხასიათის ტექსტების შექმნა);</p> <p>ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარ-ჩვევის გამომუშავება (ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია);</p> <p>მხატვრულ ხერხებზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება (ალიტერაცია და იუმორი)</p> <p>გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევის გამომუშავება.</p> <p>სიტყვის წარმოშობაზე დაკვირვება;</p> <p>მრავალმნიშვნელობიან სიტყვებზე დაკვირვება;</p> <p>სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებაზე დაკვირვება;</p> <p>ომონიმებზე, ბარბარიზმებზე და სპეციალურ ლექსიკაზე დაკვირვება.</p>	<p>დაახ. 30 აკად. საათი</p> <p>ქართ. დანყ. (II). 1,2,3,4,5, 6,7,8,9,10,11, 12</p>
---	---	---

<p>ლიტერატურა</p> <p>III თავი — სახელოვანი წინაპრები</p> <p>ვინც იყო იგი, რომ არა — მ. მაჭავარიანი;</p> <p>ფარნავაზის ცხოვრება — ლ. მროველი;</p> <p>ფარნაოზი — გრ. ორბელიანი;</p> <p>ვახტანგმა წყალი ისურვა — მ. მაჭავარიანი;</p> <p>დიდი თამარი — ვაჟა-ფშაველა;</p> <p>ცოტნე დადიანის თავგანწირვა — ვ. ჭილაძის წიგნიდან.</p> <p>ქართველების გასაგონად — შ. ნიშნიანიძე;</p> <p>ერეკლე მეფე და ინგილო ქალი — ი. გოგებაშვილი.</p> <p>ენა</p> <p>III თავი. სიტყვათა კლასები.</p> <p>სახელები</p> <p>ნივთიერებათა სახელები;</p> <p>ფუძის კვეცა და კუმშვა;</p> <p>ბრუნვის ნიშნის გავრცობა;</p> <p>ჩვენი საკუთარი სახელები;</p> <p>საკუთარი სახელების ბრუნვა;</p> <p>გვარ-სახელის ერთად ბრუნვა.</p>	<p>ტექსტების მოსმენის, წაკითხვისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარებაზე მუშაობა;</p> <p>ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარ-ჩვევის განვითარება;</p> <p>მხატვრულ სიტყვაზე დაკვირვების უნარ-ჩვევის განვითარება;</p> <p>ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევის განვითარებაზე მუშაობა;</p> <p>წარმოსახვის უნარის განვითარება;</p> <p>ჟანრის შეგრძნების უნარის განვითარება, წერითი მეტყველების უნარის განვითარება (მხატვრული ნაწარმოების შეთხზვა ლექსის მიხედვით);</p> <p>ნივთიერებათა სახელებზე წარმოდგენის შექმნა;</p> <p>სახელის ბრუნვის გახსენება;</p> <p>სახელის ბრუნების დეტალებზე დაკვირვება;</p>	<p>დაახ. 35 აკად. საათი</p>	<p>ქართ. დანყ. (II). 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12</p>
--	---	-----------------------------	--

<p>ლიტერატურა</p> <p>IV თავი . შოთა, საბა და დავითი</p> <p>ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა;</p> <p>თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საქებრად — შოთა რუსთაველი;</p> <p>უკან მიდევნებულნი ლამპარნი;</p> <p>მოხერხებული არაბი; ორი ძმა; აქლემი და ვირი — სულხან-საბა ორბელიანი;</p> <p>სწავლა მოსწავლეთა — დავით გურამიშვილი.</p> <p>ენა</p> <p>III თავი. სიტყვათა კლასები.</p> <p>სახელები (გაგრძელება)</p> <p>ზედსართავ სახელთა ორი ჯგუფი;</p> <p>ზედსართავის ხარისხები;</p> <p>რიცხვითი სახელის სამი სახეობა;</p> <p>რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად;</p> <p>რიცხვითი სახელების მართლწერა;</p> <p>კითხვითი ნაცვალსახელი;</p> <p>განსაზღვრებითი ნაცვალსახელი;</p> <p>განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი.</p>	<p>ტექსტების ესთეტიკური აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარის გამომუშავება; ილუსტრაციაზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>ზეპირმეტყველების უნარის განვითარება (მსჯელობა, მხატვრული კითხვა);</p> <p>სალექსო მეტყველების სპეციფიკაზე დაკვირვება (რიტმი); შაირის ცნების შემოტანა;</p> <p>კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება;</p> <p>იგ-არაკის ჟანრის სპეციფიკაზე დაკვირვება;</p> <p>ნაწარმოების დედაზრის ამოცნობის უნარის გამომუშავება;</p> <p>ზედსართავი სახელის ფუნქციაზე დაკვირვება;</p> <p>ზედსართავის ხარისხების გაცნობა;</p> <p>რიცხვითი სახელის სამი სახეობის გაცნობა და მათ ფუნქციაზე დაკვირვება;</p> <p>რიცხვითი სახელების მართლწერის გაცნობა;</p> <p>ნაცვალსახელთა ფუნქციის გაცნობა და მათზე დაკვირვება.</p>	<p>დაახ. 25 აკად. საათი</p>	<p>ქართ.დანყ. (III). 1,2,3,4,5, 6,7,8,9,10,11, 12</p>
--	---	-----------------------------	---

<p>ლიტერატურა</p> <p>V თავი. ხალხური სიტყვიერება</p> <p>მუმლი მუხასაო;</p> <p>ჯარჯი;</p> <p>ორი ძმა;</p> <p>ფხოველი და შავანელი;</p> <p>სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი.</p> <p>ენა</p> <p>IV თავი. სიტყვათა კლასები.</p> <p>ზმნა</p> <p>ზმნის ცვლა პირების მიხედვით;</p> <p>ზმნა და მოქმედების დრო;</p> <p>ზმნისნინი;</p> <p>უღლები;</p> <p>სიმრავლის თავისებური გამოხატვა;</p> <p>კუთვნილების გამოხატვა ზმნაში;</p> <p>საწყისი და მიმდევობა;</p> <p>ზმნის კილო;</p> <p>ზმნის ასპექტი.</p>	<p>ტიქსტების შედარებით ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება;</p> <p>ტიქსტის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევის გამომუშავება;</p> <p>ჟანრის სპეციფიკის ამოცნობის უნარ-ჩვევის განვითარება;</p> <p>ზეპირმეტყველების უნარის განვითარება (მსჯელობა);</p> <p>წერითი მეთყველების უნარის განვითარება (ზღაპრის შეთხზვა);</p> <p>ზმნის პირის გრამატიკულ კატეგორიაზე დაკვირვება;</p> <p>ზმნისნინის ფუნქციების გაცნობა;</p> <p>უღლების კატეგორიის გაცნობა;</p> <p>ქცევის, კოლოსა და ასპექტის კატეგორიებისა და მათი ფუნქციების გაცნობა;</p> <p>საწყისისა და მიმდევობის კატეგორიის ამოცნობაზე მუშაობა.</p>	<p>დაახ. 20 აკად. საათი</p>	<p>ქართ.დანყ. (II). 1, 2, 3, 4, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12</p>
---	---	-----------------------------	--

<p>ლიტერატურა</p> <p>VI თავი — ყური მიუგდეთ ბუნებას</p> <p>ია — ვაჟა-ფშაველა;</p> <p>მთის წყარო — ვაჟა-ფშაველა;</p> <p>მწუხრის სურათი — ი. ჭავჭავაძე;</p> <p>ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა — გ. ტაბიძე;</p> <p>ღრუბლები, ფოთლები — ა. კალანდანი.</p> <p>ენა</p> <p>V თავი. წინადადება</p> <p>ზმნა და წინადადება;</p> <p>წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები;</p> <p>შესიტყვება და წინადადება;</p> <p>ზმნა და მოქმედების გარემოებანი;</p> <p>რთული წინადადება და მისი სახეები;</p> <p>წევრთა გადაძახილი ქვეყობილ წინადადებაში;</p> <p>იქ — სადაც;</p> <p>მაშინ — როცა;</p> <p>ისე — როგორც; ისე — თითქოს;</p> <p>იმიტომ — რომ; იმისთვის — რომ/რათა.</p>	<p>ტექსტის მომენის, ნაკითხვისა და ინტერპრეტაციის უნარის გამომუშავება;</p> <p>ერთ თემაზე შექმნილი მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების შედარებითი ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარის გამომუშავება;</p> <p>მხატვრულ სახეზე დაკვირვების უნარის გამომუშავება;</p> <p>გაპიროვნების, შედარების, ეპითეტის, მეტაფორის ამოცნობაზე მუშაობა;</p> <p>ტექსტის დედაზრის ამოცნობის უნარის განვითარებაზე მუშაობა;</p> <p>წერილი მეტყველების უნარის განვითარებაზე მუშაობა;</p> <p>დაკვირვება ზმნის ფუნქციაზე წინადადებაში;</p> <p>წინადადების მთავარი და არამთავარი წევრების ამოცნობაზე მუშაობა;</p> <p>რთული წინადადების სახეების გაცნობა;</p> <p>„წევრთა გადაძახილზე“ დაკვირვება რთულ ქვეყობილ წინადადებაში.</p>	<p>დაახ. 30 აკად. საათი</p>	<p>ქართ.დანყ. (II). 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12</p>
--	--	-----------------------------	---

ვფიქრობთ, ეს მატრიცა დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. მასში კარგად ჩანს, როგორ უნდა წარიმართოს პარალელურ რეჟიმში ენისა და ლიტერატურის სწავლება. ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი საათების ზუსტ განაწილებას, ვინაიდან ეს ადგილზე გადასაწყვეტი ამოცანაა და ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის კლასში მოსწავლეების რაოდენობაზე და მათი მზაობის დონეზეც. თავისუფალი საათები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შემაჯამებელი სამუშაოებისა და სხვა აქტივობებისათვის.

ქვემოთ ჩვენ ვისაუბრებთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის სპეციფიკაზე საგნის სწავლების პროცესში; სპეციფიკურ საგნობრივ უნარებზე, რომლებზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს საგნის სწავლებისას; მოსწავლის შეფასების პრინციპებზე; განვმარტავთ სახელმძღვანელოს თავისა და პარაგრაფის აგებულებას; წარმოგიდგინთ სამოდელო გაკვეთილებს.

გარდა ამისა, შემოგთავაზებთ კომენტარებს ენის ნაწილის თითოეულ მსხვილ სტრუქტურულ ერთეულზე, ვინაიდან ენა ამ სახით (ცალკე გამოყოფილ მონაკვეთად) წინა წლებში არ ისწავლებოდა და ეს მასწავლებლისათვის გარკვეული სიახლეა.

როგორც ენის, ისე ლიტერატურის მასალის პრეზენტაციის დროს სახელმძღვანელოს ავტორები ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს.

სპეციფიური საგნობრივი უნარების განვითარება

რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის

V კლასში ჩატარებული სამუშაოების (იხ. მასწავლებლის წიგნი V კლასისათვის) შედეგად მოწაფეები უკვე მომზადებულნი არიან იმისთვის, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ დიალოგი ტექსტთან. ამდენად გაკვეთილზე შესაძლოა ისეთი გარემოს შექმნა, როცა მასწავლებელი კი არ „ატარებს“ გაკვეთილს, არამედ საჭირო მიმართულებას აძლევს კლასში საუბარს და მასში მონაწილეობს პარტნიორის უფლებით.

VI კლასში მხატვრული ნაწარმოებების შესწავლა, სასურველია, დავინწყოთ იმ საკითხების გამოვლენით, რომელზე საუბარიც სურთ მოწაფეებს. მათი კითხვები იწერება დაფაზე და შესაბამის პასუხებზე იგება გაკვეთილი. VI კლასელები გვთავაზობენ უკვე პრობლემური ხასიათის კითხვებს. ისინი ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ სიუჟეტს (შემდეგ რა მოხდა...), არამედ ანალიზებენ კიდევ მოვლენებს.

სტილისტური ანალიზისთვის

V-VI კლასებში ტექსტის სტილისტიკური ანალიზის დროს შესაძლებელია შემდეგი აქტივობების ჩატარება:

- ჩავსვათ ტექსტში გამოტოვებული სიტყვები, რომელსაც მერე შევადარებთ ავტორისეულს;

- ტექსტში „უცხო სიტყვის“ (რომელი სიტყვა არ მიეკუთვნება მოცემულ სტროფში (სტრიქონში) ამა თუ იმ მწერალს?) აღმოჩენა,
- ლექსის პერიფრაზირება;
- სტილის ათვისების შემოქმედებითი ფორმა — სტილიზაცია, რაც ნიშნავს ტროპების შექმნას, კონსტრუირებას (რას უწოდებდა ვაჟა, მაგალითად, ვარსკვლავს, მინდვრის ყვავილებს, მზეს; რა ეპითეტებს (შედარებებს, მეტაფორებს, გაპიროვნებას...) შეურჩევდა ანა კალანდაძე ამავე საგნებს?)
- შევთავაზოთ სტილისტიკური ექსპერიმენტი: მივცეთ აღწერის ტიპის ტექსტი რომელიმე ნაწარმოებიდან, რომელშიც გამოტოვებული იქნება სიტყვები. მოსწავლეებმა ფრაზა რომ არ დაამახინჯონ, გამოტოვებული სიტყვის ადგილას ვთავაზობთ კითხვას. (მაგ. „ეს ამბავი ერთს (როგორ) ტყეში მოხდა“ (ვაჟა-ფშაველა)? სიტყვის ჩასმის შემდეგ შევადარებთ ავტორისეულს. შემდეგ ვეკითხებით:
 1. რით განსხვავდება ავტორის ტექსტი თქვენი ტექსტებიდან?
 2. რატომ იყენებს იგი სწორედ ასეთ გამოთქმებს?
 3. როგორ უკავშირდება გამოყოფილი სიტყვები დანარჩენებს წინადადებაში?

ამგვარი სავარჯიშოებით მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ ტექსტის სტილზე, ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე, ასევე უვითარდებათ ენობრივი ალღო.

საკითხები აღწერის ტიპის ტექსტისათვის

- აღწერს თუ არა ავტორი დანვრილებით, კონკრეტულ სურათს? რის გადმოცემას ცდილობს იგი?
- რისთვის იყენებს სინონიმებს? (თუ ასეთი არის ტექსტში);
- რატომ არის ტექსტში გამოყენებული ამდენი ტირე (მრავალწეტილი, ორწერტილი...);
- რითაა ეს შედარებები და მეტაფორები საინტერესო? (რატომ ადარებს ავტორი ამა თუ იმ საგანს/მოვლენას მეორეს, რა ნიშნით?);
- იპოვეთ სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ბუნებისადმი (აღსაწერი საგნის, მოვლენისადმი) მწერლის დამოკიდებულებას გამოხატავს.

როგორც ვხედავთ, ამგვარი სავარჯიშო შეიცავს ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ელემენტებს, რაც შემდგომ კლასებში უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება.

თუ V კლასში ჩვენ უპირატესად ვსაუბრობთ მწერლის შემოქმედებით მანერაზე, VI კლასში ამას დავმატებთ ნაწარმოებში სხვადასხვა სტილისტიკური პლასტის შედარება (მაგ. ავტორის მეტყველება და პერსონაჟის მეტყველება); როგორი დამოკიდებულება აქვს ავტორს პერსონაჟისადმი, როგორაა ეს დამოკიდებულება გამოხატული: ავტორი პირდაპირ გვეუბნება, რომ ეს გმირი ასეთი და ასეთია, თუ პერსონაჟის ქმედებაში გამოიხატება მისი შეფასება.

მთავარია, რომ სტილისტიკური ანალიზი V-VI კლასებში ასრულებდეს შემდეგ პირობებს:

- იგი არ წარმოადგენს თვითმიზანს: სტილისტიკური ანალიზი ემსახურება ნაწარმოების ღრმად გააზრებას და ამგვარად მონაფეთა მოტივირებას;
- ანალიზის საგნად იქცევა ტექსტიდან კონკრეტული ფრაგმენტები, რომლებიც იძლევა განზოგადების საშუალებას;
- ანალიზის ფორმები ხშირად თამაშის ხასიათს იღებს;
- სტილისტიკური ანალიზი გადაჯაჭვულია შედარება-შეპირისპირებით ანალიზთან.

სტილიზაცია, როგორც სტილის შემოქმედებითი ათვისება

ძალიან მნიშვნელოვანია სტილისტიკური ანალიზის დასრულების შემდეგ წერიტი სამუშაოს შესრულება. V-VI კლასის მონაფეებთან მუშაობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი მხოლოდ იმას ითვისებენ, რაც გადაიქცევა მათ შემოქმედებად. ამიტომაც სტილის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება შეუძლებელია მისი ამა თუ იმ ფორმით მიბაძვის გარეშე. ამგვარი მუშაობის მაგალითია შემდეგი:

- შეიძლება შევთავაზოთ ისეთი შემოქმედებითი სამუშაოები, რომელშიც მიბაძვის ობიექტი იქნება არა ინდივიდუალური, არამედ ჟანრულ-სტილისტიკური ნიშნები. ეს იქნება საგმირო ეპოსის ფრაგმენტის დაწერა, ბალადის შეთხზვა და ა.შ. ანუ ვაძლევთ რაღაც ფაბულას და განვუსაზღვრავთ ჟანრს (მაგალითად, გმირი გაანაწყენა ქვეყნის მბრძანებელმა; მტრები შემოესივნენ ქვეყანას, მბრძანებელმა მიმართა გმირს დახმარებისთვის, გმირმა დაივიწყა წყენა, დაეხმარა ქვეყანას და სძლია მტერს) — ამ ამბავზე უნდა დაწეროს რაიმე თქმულება); შესაძლოა აქ მიეცეს დავალება: რატომ დაერქვა ამა თუ იმ ადგილს ის სახელი, რაც ჰქვია (ვთქვათ, ასე: ვეტყვი, რომ მანგლისი ძველქართულად ნიშნავს ნამგალს, გვაქვს სოფელი მანგლისი — მოიფიქრეთ თქმულება, რომელშიც გვიამბობთ, თუ რატომ დაერქვა ამ ადგილს მანგლისი).
- ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის გადმოცემა ამა თუ იმ პერსონაჟის პირით, ასევე ერთი და იმავე ამბის გამოცემა სხვადასხვა პერსონაჟის პირით. ჟანრის მიხედვით ეს ტექსტი შეიძლება იყოს წერილი, ლექსი, გმირის დღიური და ა.შ.

მუშაობის ამგვარი ფორმა, ერთი მხრივ, ტექსტის სტილისტიკური ანალიზის ლოგიკური გაგრძელებაა, მეორე მხრივ კი, იგი გადაეჯაჭვება საკუთარ ლიტერატურულ შემოქმედებას. იგი აერთიანებს თავის თავში ავტორისეულ და მკითხველის ემოციებს, ხელს უწყობს მათ დაახლოებას; ეს კი მნიშვნელოვანი პირობაა იმისათვის, რომ შედგეს დიალოგი მოზარდსა და წიგნს შორის.

სტილის შესახებ მონაფეთა წარმოდგენის ჩამოყალიბება შეიძლება შევამოწმოთ ტექსტის დახასიათებით სტილის თვალსაზრისით. ვაძლევთ ტექსტებს, რომლებიც მონაფეებს არ უსწავლიათ.

დავალეები:

1. წაიკითხეთ სამი ფრაგმენტი.

უპასუხეთ წერილობით: რომელი მათგანია, ვთქვათ, ვაჟას მოთხრობიდან, რომელი — რევაზ ინანიშვილის, რომელი — ილია ჭავჭავაძის?

რატომ ფიქრობთ ასე?

2. ვის ეკუთვნის სტრიქონები: X-ს, Y-ს, თუ ვინმე მესამეს? რატომ? რა ნიშნით განსაზღვრეთ ეს?

სწორად წარმართული შედარებითი ანალიზის სწავლების შემდეგ პირველ კითხვაზე პასუხი არ გაუჭირდებათ, მაგრამ მეორე კითხვას ძნელად ართმევენ თავს VI კლასელები. თუმცა ეს არცაა გასაკვირი, მათთვის ბუნებრივია სტილის ინტუიციური გრძნობა, ვიდრე — ლოგიკური ანალიზი. ეს პრობლემა მომდევნო კლასებში დაიძლევა.

წერიტი დავალების ტიპები

წერიტი სამუშაოს სახეები მრავალფეროვანია. აქ მნიშვნელოვანია, რა ასწავლო, რისკენაა მიმართული თითოეული სამუშაო, რა თანმიმდევრობით და რა ასაკში ასწავლო, როგორ უკავშირდება იგი მხატვრული ტექსტის ანალიზს, როგორ შევადგასოთ ნაშრომები, როგორ ვუბიძგოთ მოწაფეს შემოქმედებითობისკენ.

წერიტი სამუშაოს სახეები პირობითად სამ რიგად შეიძლება დაიყოს:

- საკუთრივ ლიტერატურული შემოქმედება;
- სტილიზაცია;
- სხვადასხვა ფორმით ტექსტის ინტერპრეტაცია (კინოსცენარი, თხზულება).

ლიტერატურული შემოქმედება — ესაა მოწაფის მიერ საკუთარი ტექსტის შექმნა (როგორცაა თავისუფალი ლექსი, ჩანახატი, მოთხრობა...), რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება შესასწავლ ნაწარმოებებს. მუშაობის ეს ფორმა ჭარბობს V-VI კლასებში წერიტი სამუშაოებში, მაგრამ ის შემდგომაც შენარჩუნდება.

ამგვარ დავალებას ორმხრივი მიზანი აქვს, ერთი მხრივ, იგი გვიჩვენებს მოწაფის მიერ გარკვეული თეორიული მასალის (მეტაფორა, კომპოზიცია, ლექსი, ჟანრის თავისებურებების) ათვისების დონეს, ასახავს მის უნარს კითხვის, მხატვრული ტექსტის გაგების თვალსაზრისით, მკითხველის გამოცდილებას, მეორე მხრივ, მოსწავლეს აძლევს საშუალებას, იპოვოს და გამოხატოს საკუთარი თავი.

ამგვარი ნაშრომის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, რისთვისაა ის გამიზნული, ანუ რა მოწმდება ამით: ჟანრის ათვისება, მხატვრული ხერხი (მეტაფორა, შედარება). ასეთი მუშაობა მხოლოდ განმავითარებელი შეფასების საგანი იქნება. მასწავლებელი მოწაფესთან ერთად დაადგენს, რას მიაღწია მოსწავლემ, სად უჭირს, რაში სჭირდება დახმარება.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი სამუშაოები ხელს უწყობს კითხვის უნარ-

რის განვითარებას. პირველ რიგში ესაა საშუალება ლიტერატურის თეორიის სფეროს (უნარი — დაინახოს და გამოიყენოს მხატვრული სახეები; სიუჟეტის ელემენტები, კომპოზიციის ხერხები, სახე-სიმბოლოები) შემოქმედებითად ათვისებისა და გათავისებისა. გარდა ამისა, მონაფე ითვისებს მხატვრული პირობითობის სივრცეს, თავს აღწევს ლიტერატურისადმი გულუბრყვილო-რეალისტურ დამოკიდებულებას. ბავშვი, რომელსაც შეუძლია შექმნას საკუთარი მხატვრული სახე, საკუთარი ტექსტი, რასაკვირველია, უკეთ ხედავს პოეტის მიერ შექმნილ სახეს, უფრო გამოკვეთილად და ყურადღებით უდგება სხვის სიტყვას.

სტილიზაცია — ლიტერატურული შემოქმედების ნაირსახეობა, როდესაც მოსწავლე ამა თუ იმ მწერლის მიხედვით ქმნის საკუთარ ტექსტს. ასეთი ნამუშევრის დაწერას წინ უნდა უძღვოდეს ტექსტის შედარებითი და სტილისტური ანალიზი. წერიტი მუშაობის ამგვარი ფორმა დაკავშირებულია მწერლის ენის თავისებურებისა და შემოქმედებითი მანერის წვდომის უნართან.

სტილიზაციის ტიპის წერიტი სამუშაოს ერთ-ერთი ფორმა

მონაფეებს ეძლევათ დიალოგური ფორმის ტექსტი (რომელშიც იქნება ავტორის სიტყვებიც: უთხრა, მობრუნდა, ძლივს ამოიღულულა და ა.შ) და ევალუბათ, გადაწერონ ეს ტექსტი პიესის (სცენის) ფორმით, რომელშიც მაქსიმალურად შეინარჩუნებენ ავტორისეული რემარკების თავისებურებებს.

ასეთი დავალება, ერთი მხრივ, ეხმარება მოსწავლეებს გაარჩიონ დრამა ეპოსისაგან ტექსტის აგებისა და ჩანერის ფორმის თვალსაზრისით, წარმოდგენა ექმნებათ რემარკის რაობასა და მის ფუნქციებზე. მეორე მხრივ, ჩვენ დავინახავთ, რამდენად იგრძნეს მწერლის სტილის თავისებურება — მისი ენა, ინტონაცია.

ინტერპრეტაცია. V კლასიდანვე მონაფეები იწყებენ ნაწარმოების წერილობითი ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმის ათვისებას. ინტერპრეტაციას მიეკუთვნება სიტყვიერი აღწერა, კინოსცენარი, მიზანსცენის შექმნა და სხვა.

ტექსტის ანალიზის მიზანი სკოლაში არის მკითხველისეული ინტერპრეტაციის შექმნა. მხატვრული ტექსტის შესწავლა სკოლაში იწყება პირველადი აღქმით და მიდის სინთეზური განხილვისკენ — მკითხველისეული ანალიზის შექმნისკენ.

ინტერპრეტირებისას ნაწარმოების აღქმის ყველა სფეროა ჩართული: ემოცია, წარმოსახვა, შინაარსისა და ფორმის გააზრება. ასეთი ტიპის სამუშაოში აისახება კითხვის ყველა უნარის განვითარების დონე.

მკითხველისეული ინტერპრეტაცია ინდივიდუალურია და არ ფასდება „მართალია-ტყუილია“ პრინციპით. მასწავლებლის ამოცანაა, პატივი სცეს მონაფის აზრს, შეაფასოს მისი არგუმენტაცია, ტექსტის წვდომის დონე.

ბუნებრივია, შეფასება იმისა, თუ რამდენად უახლოვდება მონაფე ავტორის პოზიციას, მასწავლებლისთვის მარტივია თხზულება-ანალიზის კითხვისას და არა კინოსცენარისას. მაგრამ თვითონ მოსწავლისთვის გაცილებით იო-

ლია თავისი შეხედულება სახეებით გამოხატოს, ვიდრე — ანალიზით, ამიტომ თხზულება-ანალიზი, როგორც ინტერპრეტაციის ნაირსახეობა მოგვიანებით ჩნდება. მანამდე ხდება ჟანრის პროპედევტიკული (სანყისი) ათვისება კითხვებზე წერილობითი ვრცელი პასუხების გაცემით. თუკი ჩვენ ვაძლევთ მონაფეს საშუალებას, განვითარდეს ბუნებრივად, მის ტექსტებში მსჯელობის ელემენტები ჩვენი ძალისხმევის გარეშეც გაჩნდება. როდესაც ბავშვები მზად იქნებიან მსჯელობისთვის, ისინი იწყებენ აღწერაში (ან თხრობაში) მათ ჩართვას.

კითხვა-პასუხის დავალების ტიპი

მაგალითად: ვრცელი პასუხი გაეცით კითხვას:

რატომაა, ავტორის აზრით, .. ? წინასწარ მონაფეებთან ერთად განვიხილავთ თხზულების სამნაწილიან სტრუქტურას, ანუ ვეცყვით, რომ აუცილებელია, პასუხში იყოს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ძირითადი, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს თხზულება-ანალიზის სწავლების დროს, ეს არის:

- სამნაწილიანი სტრუქტურის დაცვა;
- თემიდან გადაუხვევლობა;
- გამოხატვის ფორმისა და შინაარსის შესაბამისობა.

თხზულება-ანალიზი ერთგვარი სამეცნიერო ინტერპრეტაციაა (რასაკვირველია, მონაფის დონეზე), მხატვრული ინტერპრეტაცია (კინოსცენარი, სიტყვიერი აღწერა, ჩანახატი და მისთ.) კი, თავის მხრივ, ახსნას მოითხოვს. ამგვარ ნამუშევარში შესაძლოა მხატვრულმა წარმოსახვამ მოსწავლე დიდწილად დააშოროს თავდაპირველ ტექსტს, რაც ბუნებრივად დამახასიათებელია VI კლასისთვის, შესაბამისად, ნაშრომში არ იქნება გათვალისწინებული ავტორისეული ტექსტის ძირითადი მომენტები, მაგრამ კომენტარები აუცილებლად პოზიტიური უნდა იყოს, მასწავლებლის ყურადღება უნდა გამახვილდეს ჯერ ნაშრომის ძლიერ, შემდეგ კი სუსტ მხარეებზე.

წერთი ნამუშევრის შექმნის ეტაპები

შეიძლება გამოიყოს შემდეგი ეტაპები:

- მოსამზადებელი ეტაპი
- მოსწავლის მიერ ნამუშევრის დაწერა (შინ თუ კლასში)
- სოციალიზაცია (წაკითხვა, გამოფენა, პულიკაცია)

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ნამუშევარი აიგოს სისტემურად.

მომზადების ეტაპები:

1. სტილიზაციის მოსამზადებელი ეტაპი

მომზადება არის, უპირველეს ყოვლისა, მოცემული ავტორის ტექსტის ანალიზი (სტილისტიკური, შედარებითი), რომლის დროსაც ყურადღებას ვამახვილებთ სტილისტიკურ განსხვავებებზე (ტექსტების შედარება-შეპირის-

პირების საფუძველზე), მწერლის ენაზე, მის დამოკიდებულებაზე გმირისადმი, ზოგადად, ცხოვრებისადმი და ა.შ. ასეთი გაკვეთილები ამზადებს ნიადაგს შემოქმედებითი მუშაობისთვის. თავდაპირველად, სანამ მოსწავლეები შეეჩვევიან, აუცილებელია სპეციალური გაკვეთილები, რათა მოემზადონ სტილიზაციის დასაწერად.

2. ლიტერატურულ-შემოქმედებითი ნაშრომის მოსამზადებელი ეტაპი

იმისათვის, რომ ფორმალურად არ წერონ მოსწავლეებმა და შემოქმედების პროცესში სრულად გამოვლინდეს მათი შინაგანი პოტენციალი, საჭიროა გარკვეული ბიძგი, მოსწავლის თემით დაინტერესება, თემით „მონამვლა“. ხანდახან ეს ყველასთვის ერთნაირი ხერხით ხდება, ხანდახან — ინდივიდუალური მუშაობაა საჭირო, მაგალითად, ყველა მონაფე იღებს კონვერტს ნახატით ან ფოტოთი (თქვენი შეხედულებისამებრ). მოსწავლეებში უნდა გავაღვიძოთ ასოციაცია, შევქმნათ განწყობა, „შევანჯღრიოთ“ მათი წარმოსახვა, მივცეთ საშუალება გარკვეული სიტყვიერი და სახეობრივი მასალის დაგროვებისა.

საკუთარი შემოქმედების გზა გადის ტექსტების დაგროვების ეტაპზე. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ წერის პროცესი არ გადაიქცეს სქემატურ საქმიანობად. ნაშრომში უნდა გამოიყოს მინიმუმ სამსაფეხურიანი სისტემა: ჩემი სიტყვა — ავტორის სიტყვა — ჩემი სიტყვა (ანუ ლირიკული ლექსის შემთხვევაში გამოიხატება მონაფის განწყობა, შემდეგ განისაზღვრება მოცემული ავტორის ტექსტი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, შემდეგ ისევ საკუთარი, ლექსის მიბაძვით შექმნილი სტრიქონები).

ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა ხშირად გაკვეთილზე ტექსტის ზეპირი ანალიზისას ხორციელდება. მოსამზადებელი ეტაპისთვის ხანდახან გაკვეთილის რამდენიმე წუთია საჭირო, ხანაც — მთელი გაკვეთილი.

3. ინტერპრეტაციისთვის მომზადება

მომზადების მეთოდოლოგია დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

- მოცემული ჟანრის ათვისების ხარისხი;
- ტექსტის სირთულე და მონაფეთა დამოუკიდებელი ანალიზის უნარი.

შემოქმედებითი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს ტექსტის კოლექტიური განხილვის თანმხლები. ასეთ შემთხვევაში იგი სინთეზირებულ ხასიათს ატარებს. თუმცა შესაძლოა იგი იყოს სრულიად დამოუკიდებელი და ასახავდეს მონაფის მიერ ტექსტის თავდაპირველ აღქმას. პირველ შემთხვევაში მონაფეთა ნაშრომების მახასიათებელი სუბიექტური ფანტაზიის სიჭარბე და ავტორისეული ტექსტიდან გადახრა იქნება, მეორე შემთხვევაში კი დამოუკიდებელი შემოქმედებითი სინთეზი უფრო დაუახლოვდება ავტორის პოზიციას, მაგალითად: ტექსტის ამა თუ იმ ეპიზოდის გადმოცემა კომენტარებით.

4. თხზულება-ანალიზისთვის მომზადება

ეს მუშაობა გულისხმობს თემის გამოკვეთას, შესაძლო პრობლემატიკის

გამოვლენას, სანიმუშო გეგმის ერთობლივად შედგენას, ცალკეულ ნაწილებზე მონაფეებთან ერთად შეთანხმების მიღწევას.

თავდაპირველად:

- განისაზღვრება საკითხი მოსწავლეთა მიერ;
- ზეპირად განიხილება დასაწყისის შესაძლო ვარიანტები.

პირველი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მონაფემ თავი იგრძნოს სწავლების სუბიექტად (და არა ობიექტად), ასევე გამოიკვეთოს ძირითადი აზრი და ანალიზის მიმართულება.

მეორე ეტაპი აუცილებელია, რადგან მოსწავლეებს ძალიან უჭირთ დაწყება, ასევე იმისთვისაა საჭირო, რომ საკითხზე საუბარი არ დაიწყოს სიტყვებით: „იმიტომ, რომ“, ასევე გაიგოს, რომ სათაური თხზულების დასაწყისი არაა.

მნიშვნელოვანია საუბარი თხზულების ადრესატზე და მთავარ ამოცანაზე — დაარწმუნო იგი რაღაცაში.

თხზულება — ანალიზის ტიპის თემები შეიძლება იყოს: რითი განსხვავდება ორი ნაწარმოები (ერთ თემაზე დაწერილი) ერთმანეთისგან? მეგობრობა (რომელიმე ტექსტში), გმირის არჩევანი და ა.შ.

წერის ეტაპი

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ნამუშევრის კლასში შესრულებას, რადგანაც იგი უშუალოდ მოჰყვება მოსამზადებელ ეტაპს და მონაფეები განწყობილნი არიან მუშაობისთვის, ყურადღებას არ უფანტავთ ტელეფონის ზარი, ტელევიზორი, კომპიუტერი და სხვა საცდურები. იქვეა მასწავლებელი დამატებითი განმარტებების მისაღებად, შავი ვარიანტის საჩვენებლად. ამგვარი კონსულტაციები მონაფისთვის აუცილებელია. სახლში კი მსგავსი რედაქტირების საშუალება ნაკლებადაა და მონაფე მაშინვე კარგავს ინტერესს თავისი ნაშრომის მიმართ, როგორც კი მას დასრულებულად მიჩნევს. ამიტომ საწყის ეტაპზე მაინც მასწავლებლის ჩართვა ამ საქმიანობაში მეტად მნიშვნელოვანია. ამასთანავე, კლასში მონაფეები ერთმანეთს გადასდებენ შემოქმედებით ენერგიას, მიმართავენ დახმარებისთვის ერთმანეთს, ხანდახან „შემოქმედებითი კავშირებიც“ კი წარმოიშობა, რაც მონაფეთა განვითარებისთვის მეტად სასარგებლოა.

თუმცა ამგვარ მუშაობას აქვს თავისი მინუსებიც: დრო შეზღუდულია, მოსწავლეები ხშირად ცდილობენ, ყველაფერი გაკვეთილზე მოასწრონ, რის გამოც ხარისხი იკარგება, ან სამუშაოს მომდევნო (ვთქვათ, გეოგრაფიის) გაკვეთილზე ასრულებენ, რაც ასევე კარგი არაა. მეორეც, არსებობენ ბავშვები, რომლებიც კლასში ვერ ახერხებენ მობილიზებას, მათ განმარტობა ესაჭიროებათ.

მესამეც, ზოგს არ შეუძლია „შეკვეთით“ წერა, როგორც უნდა დააძალო. ზოგიერთ სამუშაოს განსაკუთრებული სულიერი განწყობა სჭირდება. ერთი სიტყვით, გამომდინარე სამუშაოს ხასიათიდან და მონაფეთა ფსიქოლოგიური განწყობიდან, უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, სად შეასრულონ წერითი დავალება — შინ თუ გაკვეთილზე. გასათვალისწინებელია დროის ფაქტორიც.

ზოგჯერ უკეთესია დიდი დრო დაეთმოს მოსამზადებელ ეტაპს და საწერი დავალება შინ მიეცეს, ვიდრე გაკვეთილის დრო გაინიროს წერისთვის და მოაკლდეს სრულყოფილად მის მომზადებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, სამუშაოს გარკვეული ნაწილი მაინც კლასში შესრულდეს, რათა მონაფეები თანდათანობით შეეჩვიონ „არასაშინაო“ პირობებში მუშაობას.

სოციალიზაციის (ნაწარმოების გამოქვეყნების) ეტაპი

შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირებისთვის აუცილებელი ეტაპია გაკვეთილზე ნამუშევრების წაკითხვა და მსჯელობა მის შესახებ. ამგვარი მუშაობა არის ერთ-ერთი ხერხი, მონაფის თვალში ამაღლდეს მისი შემოქმედება, გადაილახოს უფსკრული ლიტერატურასა და საკუთარ სიტყვას შორის. მნიშვნელოვანია, ყურადღება მეტწილად გამახვილდეს ნაშრომის ღირსებებზე, მსუბუქად მიეთითოს ნაკლოვანებებზე. ეს ანალიზი შეიძლება იყოს ზეპირი, ყველას თანდასწრებით (თუ მონაფე არ აპროტესტებს), ანდაც წერილობითი (სასურველია, მასწავლებელმა მხოლოდ შენიშვნები კი არ მიუწეროს, არამედ ხშირად წეროს რეცენზიები).

ხშირად ბავშვებს რცხვენიათ ხმამაღლა თავისი ნაწერის კითხვა, ამიტომ იგი შეიძლება გამოიფინოს, სპეციალურ საქალაღდეში ჩაიდოს და ა.შ. კარგი სტიმულია, თუ წლის ბოლოს გამოიცემა სკოლის მონაფეთა საუკეთესო ნამუშევრების ალმანახი...

მოსწავლზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიები სახელმძღვანელოში

სახელმძღვანელოს შინაარსი, მისი სტრუქტურა, ცალკეული თავისა თუ პარაგრაფის აგებულება, სავარჯიშოებისა და დავალებების სისტემა პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას ეფუძნება. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა სახელმძღვანელოს დაწყება სწავლის, კერძოდ, კითხვის სტრატეგიების გაცნობით. სწავლის სწავლა ხომ ამ საგანმანათლებლო კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. იმავე მიზანს (სწავლის სწავლას) ემსახურება თხზულების გეგმაჩარჩოს მიცემა სახელმძღვანელოში წარმოდგენილ დავალებებში.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სტრუქტურულ აგებულებაშიც. კერძოდ, სასწავლო მასალის თემატურ დალაგებაში:

1. წიგნი; 2. თქვენი თანატოლების ცხოვრებიდან; 3. სახელოვანი წინაპრები; 4. შოთა, საბა და დავითი; 5. ხალხური სიტყვიერება; 6. ყური მიუგდეთ ბუნებას.

ლიტერატურული მასალა მოსწავლეს ჯერ მისთვის ყველაზე ახლობელ სამყაროში ამოგზაურებს, შემდეგ თანდათან აფართოებს მის თვალსაწიერს და ბოლოს ადამიანური ბუნების სიღრმეებშიც ახედებს.

ნაცნობიდან უცნობისაკენ სვლა, უკვე არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენება სახელმძღვანელოს მეთოდის გამოკვეთილი პრინციპია. ამ პრინციპის ყველაზე თვალსაჩინო რეალიზაციაა სამოტივაციო (იგივე, ე.წ. მაპროვოცირებელი) კითხვები ყოველი სასწავლო მონაკვეთისა თუ პარაგრაფის დასაწყისში.

ამავე პრინციპის რეალიზაციას წარმოადგენს ენის ნაწილის პარაგრაფების მთლიანი აგებულება, თხრობის ლოგიკა, რომელიც ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ანუ მოსწავლეს მზამზარეული წესები კი არ მიეწოდება, ის თვითონ მიდის ამა თუ იმ ენობრივი კანონზომიერების აღმოჩენამდე.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის რეალიზაციის მაგალითია აგრეთვე ენობრივი მოვლენებისა და კანონზომიერებების ვიზუალიზება. ამგვარი ნიმუშები უხვად არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ენის ნაწილსა და მოსწავლის რვეულში. სავარჯიშოთა ვიზუალიზება, ვფიქრობთ, ბევრად გაუიოლებს მოსწავლეს ენის კანონზომიერებათა გაგებას.

მოსწავლის შეფასების პრინციპები შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები

შეფასება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილია ორი ტიპის შეფასება: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

განმავითარებელ შეფასებას (რომელიც თავის თავში მოიცავს **თვითშეფასებასაც**) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასება. ამგვარი შეფასებისას მოსწავლე მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება, ამდენად, შეფასების ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მოწაფეს აძლევს რჩევას, რეკომენდაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავი და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. იგი მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც,

რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მონაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

განმსაზღვრელი შეფასება კი მოსწავლეთა მიღწევებსა და დონეს განსაზღვრავს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული, ამდენად ქულის დაწერა სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობებს: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება ქულის სახითაა მოცემული, რომელიც განსაზღვრავს მონაფის დონეს, შესაბამისად, მას არ ახლავს შედეგების გასაუმჯობესებლად კომენტარები ან რეკომენდაციები.

განმავითარებელი შეფასების მეთოდები

მასწავლებლის დაკვირვება — ჩანანერები, კომენტარები მოსწავლის მიღწევების შესახებ. გამოიყენება სწავლების ყოველ ეტაპზე: კითხვებზე პასუხისას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას, საკლასო წერისას...

კომენტარი — ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მისი კონკრეტული პასუხისა თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას. ეს შეიძლება იყოს: ქება, გამხნეება, რჩევა, დაფიქრებისკენ მოწოდება, შეცდომის გასწორება.

თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა არსებობს, ყველაზე გავრცელებული თვითშეფასების სქემებია, რომელიც კონკრეტული საჭიროების მიხედვით იცვლება, იმის მიხედვით, თუ რას ვამოწმებთ: ერთ თემას, ერთ გაკვეთილს, ერთ სავარჯიშოს, ფაქტობრივ მასალას, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარჩვევები, წერით ნამუშევარს და სხვ. ამგვარი სქემები სასურველია მოსწავლეთთან ერთად შემუშავდეს.

წერითი ნამუშევრის თვითშეფასების ნიმუში:

სახელი, გვარი----- თარიღი -----
როდესაც გადავხედე ნამუშევარს, დავინახე, რომ -----

გავაუმჯობესე -----
ვამაყო, რომ -----
კვლავ მჭირდება განმტკიცება -----
შემდგომ წერით დავალებაში შევეცდები, რომ -----

გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობისა და შინაგანი, პიროვნული პროცესების თვითშეფასების ნიმუში (პირობითი ნიმუშების გამოყენებით)

- ვპასუხობდი კითხვებს და ჩემს პასუხებს მივყავდით პრობლემის გადაწყვეტამდე (პირობითი ნიშანი მზე);
- ვამატებდი და ვავითარებდი სხვების პასუხებს, ვეხმარებოდი გაკვეთილის „აგებაში“ (აგურები);
- ვპასუხობდი, მაგრამ როგორც მერე მივხვდი, არცთუ ნარმატივულად, რადგან ან სხვის პასუხს ვიმეორებდი, ანდა სწორ გზას ვცდებოდი (ჩამვებული ღუზა);
- ყველაფერი ვიცოდი და მესმოდა, მაგრამ ვდუმდი (სანამ რამეს ვიტყოდი, სხვები მასწრებდნენ; ვშიშობდი, არასწორად არ მეპასუხა, დაე, სხვებმა იმუშაონ) (დაკეცილი კონვერტი);
- ვდუმდი, რადგან არ ვიცოდი რა მეტქვა, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი სხვებს (მოცინარი კაცუნა, რომლის ყურებისკენ მიმართულია ისრები);
- მეძინა, ბუზებს ვითვლიდი, ვოცნებობდი (ნეტა, რაზე?), ვფიქრობდი, ვინ-ერდი საშინაო დავალებას (ღრუბლები).

ამგვარად, მოწაფე აფასებს საკუთარ აქტივობას, საკუთარ წვლილს გაკვეთილზე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში (მასწავლებელმა ყოველთვის არ იცის, რა დგას მოწაფის დუმილის უკან, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რას აირჩევს მოსწავლე: „ვიცოდი და ვდუმდი“, თუ „არ ვიცოდი და ვდუმდი“). მასწავლებელი დროდადრო კრეფს თვითშეფასების ფურცლებს და არშიებზე აკეთებს საკუთარ შენიშვნებს (ძალიან კორექტული და არაკატეგორიული ტონით) მაშინაც, როცა მოსწავლე გადაჭარბებით აფასებს საკუთარ თავს და მაშინაც, როდესაც იგი დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებს (ამგვარ თვითშეფასებაში არის რისკი იმისა, რომ მოწაფემ იეშმაკოს, არაადეკვატურად შეაფასოს საკუთარი თავი, მაგრამ ამგვარი რისკი მაინც გამართლებულია, რადგან ბევრი ბავშვისთვის იგი სტიმულია, რათა მიაღწიოს იმ სასურველ შედეგს, რომელიც ამ ეტაპისთვის მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა).

შემაჯამებელი შეფასების სქემა

შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა ზეპირმეტყველებაში
დავალების ტიპი: ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა

	ქულები
გამართული და სწორი მეტყველება	
მეტყველებს გამართული, სალიტერატურო ენით, იყენებს შესაფერის ლექსიკას	0—1
სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს, ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს.	0 — 0,5-1
სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა	
მსჯელობის დაწყებამდე აყალიბებს თეზისს (გამოკვეთს მსჯელობის თემას).	0 — 1-2
ბოლომდე მიჰყავს დაწყებული მსჯელობა (ანუ აზრს დაუსრულებელს არ ტოვებს); აკეთებს ლოგიკურ (მსჯელობიდან გამომდინარე) დასკვნას.	0 — 1-2 0-0,5 -1
კონტაქტი აუდიტორიასთან, თვალსაჩინოების გამოყენება	
აქვს მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან.	0—1
საჭიროების მიხედვით იყენებს შესაბამის თვალსაჩინოებას (სქემას, ნახატს).	0—1
შემოქმედებითი უნარები	
ამჩნევს ტექსტში საინტერესო დეტალებს და მარჯვედ იშველიებს მათ საკუთარი მსჯელობის დასასაბუთებლად.	0—1

სტანდარტთან შესაბამისობა: ქართ. დანყ.(II). 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა;

ქართ. დანყ.(II). 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა კითხვაში

დავალების ტიპი: უცხო ტექსტის წაკითხვა-გააზრება

	ქულები
ტექსტის ტიპის ამოცნობა	
ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებს; ყოფს ტექსტს შინაარსობრივ ნაწილებად; აკავშირებს სათაურს ტექსტთან.	0—1-2-3
ტექსტის შინაარსის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით	
ამოკრებს ტექსტიდან საჭირო ინფორმაციას; მოკლედ გადმოსცემს ვრცელ შინაარსს, ითვალისწინებს არსებითს.	0 —1-2-3-4
ტექსტის თემისა და დედააზრის ამოცნობა	
ამოიცნობს ტექსტის თემას; დასაბუთებულად მსჯელობს ტექსტის დედააზრის შესახებ.	0 — 1-2-3

სტანდარტთან შესაბამისობა: ქართ.დანყ.(II). 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა წერაში

დავალების ტიპი: მოთხრობის გაგრძელება

	ქულები
იცავს თხრობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას	
ამბავს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; მითითებულია მოქმედების დრო და ადგილი; გამოკვეთილნი არიან პერსონაჟები.	0 — 1-2-3
აქვს მდიდარი ლექსიკა	
იყენებს სინონიმებს, ხატოვან სიტყვა-თქმებს, ფრაზეოლოგიზმებს.	0—1-2
იყენებს თხრობის ტიპის ტექსტისთვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს (ერთხელ, შემდეგ, ბოლოს...).	0—0,5-1-2
შემოქმედებითი უნარები	

გვთავაზობს სიუჟეტის განვითარების ორიგინალურ გადაწყვეტას.	0—1
ნაშრომის ორგანიზებულობა	
იცავს მართლწერის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.	0—0,5-1-2

სტანდარტთან შესაბამისობა:

ქართ.დანყ. (II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით.

ქართ.დანყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.

(შენიშვნა: შეფასების კრიტერიუმები და ქულები ყოველი კონკრეტული დავალების შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს).

* * *

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნებისმიერი დავალება და სავარჯიშო, შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისათვის. სწორედ ამ ფაქტორს ვითვალისწინებდით, როდესაც ენობრივი სავარჯიშოების რვეულის ყველა პარაგრაფის ბოლოს გამოვყავით ადგილი მასწავლებლის კომენტარისათვის.

ინფორმაცია მოსწავლის ნიშნისა და რვეულის შესახებ

ინფორმაცია ჩვენი სახელმძღვანელოს კომპლექტაციის შესახებ მასწავლებლის ნიშნის შესავალში იყო წარმოდგენილი. აქ სახელმძღვანელოს თითოეული ნაწილის სტრუქტურული ელემენტების აგებულებაზე გვექნება საუბარი.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს ლიტერატურის ნაწილი თემატური თავების მიხედვით არის დალაგებული და თავის შიგნით სასწავლო ერთეულია ლიტერატურული ტექსტი. ტექსტს წინ უძღვის ე.წ. სამოტივაციო კითხვარი, რომელიც მოსწავლის ყურადღების მობილიზებასთან ერთად სხვა ამოცანებსაც ისახავს მიზნად: კერძოდ, ზოგიერთ ტექსტთან ის კითხვის სტრატეგიების (ილუსტრაციის მიხედვით ტექსტის შინაარსის ამოცნობა, კითხვის დროს წარმოსახვის მოშველიების შეხსენება, ყურადღების კონცენტრაციისა და სიუჟეტის ამოცნობისაკენ მონოდება, მოულოდნელობის ეფექტისათვის შემზადება) გააქტიურებას ემსახურება; ზოგთან გარკვეულ მიმართულებას აძლევს კითხვის პროცესს და ა.შ.

ტექტის ან მისი გარკვეული მონაკვეთის (თუ ტექსტი შედარებით ვრცელია) დამთავრების შემდეგ, წარმოდგენილია რუბრიკა: **წავიკითხოთ, დავფიქრდეთ,**

ვისაუბროთ. ამ რუბრიკაში მოცემული კითხვარის დანიშნულებაა, დააფიქროს მოსწავლეები წაკითხულზე და ჩააბას ისინი ტექსტის ირგვლივ მსჯელობაში. კითხვარი ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით არის აგებული და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გამოიყენოს ის მოსწავლის ცოდნისა და უნარების შეფასების ინსტრუმენტად.

შემდეგი რუბრიკა, რომელიც შესაძლებელია, მოსდევდეს კითხვარს, არის **დამატებითი ამოცანები.** ეს რუბრიკა ემსახურება ძირითადად კითხვის სტრატეგიებზე მუშაობას, კერძოდ, წარმოსახვის გააქტიურებას, მხატვრულ სახეებზე დაკვირვებას, ნაწარმოების გეგმის შედგენას; აქვეა წერიტი სამუშაოებიც, დეტალური ინსტრუქციებით.

რაც შეეხება ჩვენი სახელმძღვანელოს ენის ნაწილს, ქვემოთ წარმოდგენილი გვაქვს კომენტარები სახელმძღვანელოს თითოეული მსხვილი სტრუქტურული ელემენტისათვის. ამიტომ აქ ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

კომენტარები სახელმძღვანელოს ენის ნაწილის თითოეულ მსხვილ სტრუქტურულ ელემენტზე

შესავალი

სახელმძღვანელო, რომლითაც თქვენ მეექვსე კლასის მოსწავლეებს ქართული ენა უნდა ასწავლოთ, უშუალო გაგრძელებაა იმ წიგნისა, რომელიც მეხუთე კლასისათვის შემოგთავაზეთ. მშობლიური ენის ეს ორწლიანი საფეხური მიზნად ისახავს აღსაზრდელებს მისცეს პირველსაწყისი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები ქართული ენის ძირითადი სტრუქტურების ამოცნობის შესახებ. მას საფუძვლად უდევს პრინციპი, ზუსტად გამოხატული ი. გოგებაშვილის უკვდავ სიტყვებში: „ყოველ ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა...“. ამ აზრის განვითარება იმასაც გულისხმობს, რომ აუცილებელია მოიძებნოს გზები და ხერხები აღნიშნული მიდრეკილებისა და ნიჭის ბუნებრივი, თავისუფალი შემოქმედებითი რეალიზაციისა.

აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ წიგნში გრამატიკული სისტემის ელემენტები ძირითადად პრაგმატული ნიშნით არის შემოტანილი – ან ითვალისწინებს აღსაზრდელთა ამ დონისათვის აუცილებელი სისტემური ცოდნის მოთხოვნას, ანდა ემსახურება აქტუალური ორთოეპიური და ორთოგრაფიული ამოცანების გადაწყვეტას.

სახელმძღვანელოში ბევრი საკითხი იყრის თავს, მაგრამ ისინი უმეტესად ინფორმაციულ, გაცნობით ხასიათს ატარებს და არ მოითხოვს წესების დასწავლას და თეორიული ცოდნის გადმოცემას.

გაითვალისწინეთ: ბავშვის ცოდნის შეფასებაში უნდა ვიხელმძღვანელოთ არა იმით, როგორ „დაისწავლა“ გაკვეთილი, არამედ იმით, როგორ, რამდენად გაიგო დასმული ამოცანა. ნუ მოვაყოლებთ ამ მასალას, ვესაუბროთ მის შესახებ!

ცხადია, დიდი იქნება ცდუნება „აჯობოთ“ სახელმძღვანელოს გრამატიკის ცოდნაში, მაგრამ თუ მას დაეყრდნობით, სასურველია არ გადააჭარბოთ (ზმნის რთული ფორმების „დაშლის“ დროც დადგება!).

სახელმძღვანელოს თემები ამგვარად არის აგებული, რომ ძირითად პარაგრაფებში ჩართულია გარკვეული თემატური გადახვევები (ძირითადად, ლექსიკისა და სტილისტიკის სფეროში). რუბრიკები „სახალისო საკითხავი“, „სიტყვამ მოიტანა“, „სიტყვის წარმოშობა“ და სხვა ემსახურება, ერთი მხრივ, საკითხის ახლებური რაკურსით წარმოჩენას, მეორე მხრივ, ყურადღების გადატანას, მზერის გადანაცვლებას ენის განსხვავებული, არაგრამატიკული შრეებისაკენ. „მოზაიკურობის“ პრინციპის გამოხატულებაა ის, რომ სისტემის ჩვენებას ენაცვლება ორთოგრაფიის ამოცანა, ამ უკანასკნელს – სიტყვის შერჩევის საკითხი, მას – სტილისტიკური ამოცანა თუ ნიაღვრვა სიტყვის წარმოშობის შესახებ და მისთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თითქმის ყოველი მეცადინეობისას ორ ძირითად მიმართულებას: მართლწერის ამოცანებსა და ზეპირმეტყველების კულტურას. თუ სწავლების ამ დონეზე ენობრივი სისტემისა და სტრუქტურის ელემენტები შემოგვაქვს, ამისი მთავარი მიზანი არის ის, რომ მოსწავლეს ენის გამოყენების პრაქტიკულ ამოცანაზე გაუფრთხილოთ ყურადღება; განსაკუთრებით აქტიური, ტიპობრივი დარღვევებისაგან დასაზღვევი გზები გამოვნახოთ. მაგალითად, სულაც არ არის აუცილებელი ქცევის კატეგორიის თეორიული ცოდნა, რომ ქართული ენისათვის ესოდენ დამახასიათებელი თვისება – კუთვნილებითი ურთიერთობის უპირველესად ზმნური ფორმებით გამოხატვა – მშობლიური ენის ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად დავსახოთ...

ერთი სიტყვით, მშობლიური ენის შეთვისების პრაქტიკული მხარე სწავლების ამ ეტაპზე წამყვანი ნიშანია.

რაც შეეხება ზეპირმეტყველების კულტურას, ამ ამოცანას გარკვეული კუთხით ემსახურება საგანგებო მასალა რუბრიკით „სიტუაცია და სიტყვის არჩევანი“, რომელიც ენობრივი ამოცანის კომპლექსურ (აზრობრივი, ფსიქოლოგიური, ეთიკური ასპექტების) გათვალისწინებას მოითხოვს; აგრეთვე ის ჩანართები და ნიაღვრვები, რომლებიც ენობრივი ეტიკეტის სფეროს თუ კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას ეხება.

ამ ტიპის სახელმძღვანელოს მთავარი მიზანი მოზარდში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებადი ენობრივი უნარ-ჩვევების განმტკიცება, ლექსიკური საგანძურის გამდიდრება და ფრაზის აგების სრულყოფაა და ამ ამოცანას სახელმძღვანელოს არაერთი პირობა ემსახურება.

სახელმძღვანელო დაყოფილია ხუთ თემატურ ბლოკად. პირველი ბლოკი –

„ენის სამყარო“ – უშუალო გაგრძელებაა მეხუთე კლასის ანალოგიური თემატიკისა და წმინდად ინფორმაციული ხასიათისა. მე-2 თავი – „ქართული ენის სალარო“ – ლექსიკასა და მათს სემანტიკურ მიმართებებს წარმოაჩენს. შემდეგ მოდის სიტყვათა კლასები ორ თავად: „სახელები“ და „ზმნები“. ხოლო მეოთხე თავში წინადადების ტიპობრივი სტრუქტურებია წარმოჩენილი.

ენის გაკვეთილების საილუსტრაციო მასალა უპირატესად ეყრდნობა წინა და ამავე კლასის სასწავლო ლიტერატურულ ტექსტებს. ეს გამიზნული მეთოდური მიდგომაა, რათა მოწაფე მუდმივად გრძნობდეს „ენისა“ და „ლიტერატურის“ განუყოფელ კავშირს, მათს მთლიანობას. ახალ, „უცხო“ თემატიკაში ნაცნობი ფაქტების აღმოჩენის შესაძლებლობა ფსიქოლოგიურადაც გამართლებული ხერხია. საზოგადო პრინციპია, რომ ლიტერატურა, სიტყვიერი შემოქმედება მთელი თავისი სიმდიდრით მონაწილეობდეს ენობრივი საკითხების სწავლების პროცესში, ვინაიდან ენის პირველი მასწავლებელი სწორედ მწერლობაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაკვეთილის ტექსტებსა და საილუსტრაციო მასალებს შორის ზოგჯერ ჩართულია ლიტერატურული ფრაგმენტები, „თემატური“ ლექსები და სხვა. იცოდეთ, ისინი სავალდებულო საზეპირო ტექსტები არ არის.

სახელმძღვანელოს ახლავს „მოსწავლის რვეული“, რომელიც დასტრუქტურებულია წიგნის პარაგრაფების მიხედვით და თემატურად ასახავს იმ სავარჯიშოებსა და დავალებებს, რომლებიც თითოეულ თემას შეესატყვისება. დავალების შესრულება რვეულში მოითხოვს სიზუსტესა და აკურატულობას.

I თავი ენის სამყარო

პირველ თავს ჰქვია „ენის სამყარო“ და ის მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც მოზარდს პოპულარული ფორმით მიაწვდის ცნობებს ენის რაობისა და წარმოშობის შესახებ, შეაგრძნობინებს იმ უზარმაზარ სამყაროს, რასაც ადამიანის ენა ქმნის დანარჩენი ცოცხალი სამყაროს ინფორმაციულ შესაძლებლობებთან შედარებით.

ამ თავში გაერთიანებული პარაგრაფების მიზანია, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებს პირველსაწყისი ცოდნა მისცეს, საზოგადოდ, ენათა ნათესაობის შესახებ და, კერძოდ კი, ჩვენი ეროვნული ენის ისტორიული მიმართებების შესახებ სხვადასხვა ენობრივ ოჯახებთან. საქმე ის არის, რომ დღემდე არ არის გარკვეული ქართულ-ქართველური ენების გენეტიკური ნათესაობის პრობლემა სხვა ენებთან, ეს კი ათასნაირი ცრუმეცნიერული „აზრების“ გავრცელების საფუძველი ხდება. ფაქტია, რომ ჩვენს საზოგადოებას, მათ შორის – სასკოლო პერიოდში, არ მიეწოდებოდა სანდო ინფორმაცია ამ რთული სფეროს შესახებ და ბუნებრივ ინტერესს ამ საკითხებისადმი ის შემთხვევითი ცნობებით იკმაყოფილებდა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს თემა იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი შეეხება ქართველური ენების ისტორიულ ურთიერთმიმართებასა

და მათს როლს ქართველი ხალხის თანამედროვე ცხოვრებაში. ისტორიამ ისე განსაზღვრა, რომ არაერთი მოწინავე ხალხის ენა გაქრა მსოფლიო ასპარეზიდან, ქართველთა ენობრივი სამყარო კი მთელი სიმდიდრით იქნა დღევანდლამდე შენარჩუნებული. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, ქართული ენის ისტორიული უწყვეტობა და ძველისა და ახლის კულტურული მთლიანობა, ხოლო მეორე მხრივ – ქართველურ ენა-კილოთა გასაოცარი მრავალფეროვნება და, იმავე დროს, მათ შორის უმაგალითო მონოლითურობა, საერთო ენობრივი ცნობიერების სიმყარე. ქართველმა დროის უღმობელ მადეზინტეგრირებელ პროცესებს დაუპირისპირა ენობრივი ცნობიერების, მსოფლალქმის მაკონსოლიდირებელი კონსტიტუცია. ამის გათვალისწინებით, ბავშვების სწავლა-აღზრდა უნდა დაეუკავშიროთ ერის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფასეულობებს, კულტურულ მემკვიდრეობასთან გაუცხოების მზარდ ტენდენციას უნდა შევაგებოთ იმის ცოდნა, თუ რას ნიშნავს როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე ცივილიზებული კაცობრიობისათვის თითოეული ენობრივი ერთეული, რატომ უნდა ვზრუნავდეთ მათი შენარჩუნებისათვის.

ამჯერად განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ორ ისეთ ენობრივ ერთეულს, რომელთაც ისტორიამ მნიშვნელოვანი განსაცდელი მოუმზადა – ეროვნულ სახელმწიფოს მოსწყვიტა. ერთი ფერეიდნული დიალექტია, რომელიც 4 საუკუნის წინ ირანში გადასახლებული კახელი მოსახლეობის მეტყველების თავისებური, ძლიერი იზოლირების პირობებში განვითარების შედეგია. დიალექტში მომხდარ მკვეთრ ცვლილებებს ბავშვები სათანადო სავარჯიშოებითაც შეიგრძნობენ. მეორე ლაზურია, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი შემორჩენილა საქართველოს ფარგლებში, უდიდესი ნაწილი კი თურქეთის ტერიტორიაზეა განთავსებული. მოყვანილი სტროფის შინაარსი ასეთია:

ჩიტს გაქცევა უნდოდა, [მაგრამ
ვერ გაფრინდებოდა, [რადგან] სველი იყო,
გული დიდი ჰქონდა და
პატარა რომ იყო, არ ახსოვდა.

ლაზური, მეგრულთან ერთად, ერთ ქართველურ ენას შეადგენს და უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა საერთოქართველური ენობრივი ვითარების წარმოსადგენად. ამ ეტაპზე არსებითია მოსწავლეებმა თვალი და ყური შეაჩვიონ ქართველთა ისტორიის ამ უნიკალურ ენობრივ გამოვლინებას, დაძლიონ უცხოობა ყოველივე იმასთან, რაც ერის მნიშვნელოვან ისტორიულ მემკვიდრეობას უკავშირდება. ეს ორივე მხრივ სასარგებლო აქტივია – იმათთვისაც, ვისთვისაც ეს ენობრივი ერთეულები უცნობია და ამის გამო შეიძლება უცხოც ეგონოს, და იმათთვისაც, ვინც ამ მეტყველებას საშინაო პირობებში იყენებს კიდევ, მაგრამ ისე, რომ სულაც არა აქვს გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა საერთოქართულისათვის და, ამის გამო, გარკვეული კომპლექსის საფუძველი ხდება.

რაც შეეხება დამწერლობის თემას (მე-2 პარაგრაფი), ეს ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, მით

უფრო, ჩვენი ერის იმ მდიდარი მნიგნობრული ტრადიციების გასათავისებლად, რომელიც უნიკალური ღირსების ქართულ დამწერლობას უკავშირდება და რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ასე გამორჩეული და თავისთავადი ქართული ქრისტიანული კულტურა. აქ არაერთი თემის გააქტიურება შეიძლება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მათ შორის იმის, რომ "ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას" იუნესკოს საგანგებო სესიამ 2016 წელს საკაცობრიო მნიშვნელობის არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ნომინაცია გულისხმობს იმ უნიკალურ შემთხვევას, რომლის თანახმადაც ქართული დამწერლობის სამი სახეობა უწყვეტად თანაარსებობს მე-10 სუკუნის შემდეგ და მათი ეს თანაარსებობა ფაქტობრივ ფუნქციონირების სფეროების რაციონალურ გადანაწილებას უკავშირდება (ერთი მხრივ, სასულიერო და საერო მწერლობა, მეორე მხრივ – სასულიერო ხასიათის სხვადასხვა ძეგლები).

მოცემული გაკვეთილები არ არის მოსაყოლად გათვალისწინებული, ამიტომაც მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს მინოდებული ინფორმაციის გაგების დონე და არა ტექსტის ცოდნა. ამის შესამოწმებლად კითხვებიდან გამოსვლა სრულიად საკმარისია.

II თავი ქართული ენის სალარო

წიგნის II თავის (სათაურით „ქართული ენის სალარო“) 6 პარაგრაფი სიტყვის ენობრივი არსებობისა და ფუნქციონირების რამდენიმე საინტერესო ასპექტს შეეხება. მოსწავლეებს უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ბგერის „სამშენებლო“ ფუნქციას. გავიხსენოთ: ბგერათა კომპლექსის სიტყვად გარდაქმნაში განხორციელდება, ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ შინაარსით უმნიშვნელოვანესი რამ: ბგერა, რომელიც თავისთავად მნიშვნელობის არმქონე ენობრივი ერთეულია, სხვა ბგერებთან კომბინაციით ქმნის ცოცხალ სიტყვას და ამით ავლენს ადამიანის ენის კოლოსალურ პოტენციას.

ამჯერად სიტყვათა წარმოქმნის სხვა, უფრო საინტერესო ასპექტზე ვამახვილებთ ყურადღებას. ჩვენს ენაში არსებული სიტყვების დიდ ნაწილში ჩანს მათი წარმოქმნის საფუძველი და სიტყვათა გენეზისის დადგენა ყოველთვის არის ადამიანის ბუნებრივი ცნობისნადილის საგანი. მთავარია ეს ინტერესი სწორი მიმართულებით წარიმართოს.

სიტყვის წარმომავლობა განსაკუთრებით ხელშესახებად ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც ის სიტყვანარმოების წესებს უკავშირდება, ანუ იმ მაგალითებში, რომლებშიც ნათელია ერთი სიტყვის მეორისაგან წარმომავლობა. როგორც იცით, ასეთია აფიქსური სიტყვანარმოება (სა-ლარ-ო, უ-ფას-ო...), სიტყვის გაორმაგება (ნაპირ-ნაპირ...) და ორი ან მეტი სიტყვის შეერთება ერთ სიტყვად (თვალ-წარბი, გულმოსული, თავლაფდასხმული...). ამგვარად წარმოქმნილი

სიტყვები ენის ლექსიკური სიმდიდრის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს და მოზარდებს ენობრივ გრძნობას უფითარებს. რაც მთავარია, ამგვარ ენობრივ ერთეულებთან დაკავშირებულია მართლწერის მნიშვნელოვანი პრობლემები და, თუმცა ისინი ამ ეტაპზე აქტიურად არ შემოდის, მაგრამ ამ მასალის განხილვისას შესაბამისი ჩვევების გამომუშავება მეორეხარისხოვანი სულაც არ არის.

რაც შეეხება ხმაბაძვითი სიტყვების წარმომავლობას, ეს თემა ბუნებრივ ინტერესს აღძრავს, მაგრამ გარკვეულ სიფრთხილესაც მოითხოვს, რადგან ცნობილია, რომ სიტყვების ხმაბაძვითად აღქმა არცთუ იშვიათად მეორეულ ენობრივ წარმოდგენას უკავშირდება და სულაც არ არის დაკავშირებული სიტყვის გენეზისურ ბუნებასთან (მაგალითად, ქარი სიტყვას ქართველები აღვიქვამთ, როგორც ხმაბაძვით სიტყვას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ სიტყვას ბევრ ენაში ასევე აღიქვამენ). ამდენად, მოცემული ხმაბაძვითი მასალა (გუგული, ყვავი...) უფრო სიტყვის წარმომავლობისადმი ინტერესის გაღვივებას ემსახურება და არა ისეთი ზუსტი პასუხების წარმოდგენას, როგორც წინა შემთხვევაში - წარმოქმნილი სიტყვების შეფასებისას გვექონდა.

მნიშვნელობის ცვლა სიტყვის ისტორიული ცხოვრების თანამდევ პროცესია და მისი შედეგები ენობრივი ურთიერთობების ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს.

საკითხი ეხება სიტყვის მრავალმნიშვნელოვნებას. მნიშვნელობის ცვლა სხვადასხვა სახით – ეს არის უნივერსალური ენობრივი კანონზომიერება. კერძოდ, ნებისმიერი სიტყვა შეიძლება აღმოჩნდეს გადაწეული, გადატანილი მნიშვნელობით.

„სპეციალური ლექსიკა“ ძალზე სასარგებლო თემაა, რამდენადაც, ჯერ ერთი, სასკოლო საგნების ტერმინოლოგიურ თავისებურებაზე შეგვიძლია ყურადღების გამახვილება, მით უფრო, რომ ამ მხრივ დღეს ბევრი რამ საკმაოდ მოუგვარებელია; კერძოდ, დონეების გათვალისწინებით არ ხდება ამ ახალი სპეციალური ლექსიკის აღნუსხვა არც რაოდენობრივი (იგულისხმება ახალ ტერმინთა წილი თითოეულ თემასა თუ წლის პროგრამაში) და თვისობრივი კუთხით (იგულისხმება ავტორთა მიერ შემოთავაზებული „ნოვაციები“ არსებული ტერმინების ნაცვლად); მეორეც, თანამედროვე ქართული ენა მეტისმეტად არის დატვირთული ტერმინოლოგიის პრეტენზიით შემოჭრილი ბარბარიზმებით და ამ თემის მეშვეობით ენის ნორმირების ერთ ასპექტზე ყურადღების გამახვილების შესაძლებლობა გვეძლევა.

ამდენად, ცხადია, შემთხვევით არ დაუკავშირდა სპეციალური ტერმინოლოგიის თემას ჩვენი ენობრივი კულტურის პრობლემა. სკოლისთვის ნაცნობი და ორგანული ენობრივი მასალის (ბარბარიზმები, კალკები, ჟარგონიზმები) მოსწავლეებს უნდა დავანახოთ, რომ ჩვენი ენის სინმინდის პრობლემა არა მხოლოდ „გარეთ“ უნდა ვეძებოთ, არამედ – უპირველესად „შიგნით“. ჩვენ შეგვიძლია რეალური ფაქტებით ვილაპარაკოთ რუსული ენის გავლენის შედეგებზე ქართული ზეპირმეტყველების სფეროში, რაც ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის სიმწვავეს და გარკვეული გააქტიურებაც კი განიცადა საერთო ნორმატიული კონტროლის მოშლის გამო. თანამედროვე საზოგადოებაში რუსული ბარბარიზმები

განსაკუთრებით გვეჭრის ყურს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი სახელმწიფო ენის პრობლემები მხოლოდ რუსიციზმებთან არ არის დაკავშირებული. გასაგები უნდა იყოს, რომ ეს „პოლიტიკური“ აქცენტი ენაში მიმდინარე პროცესებზე უფრო ფართო კონტექსტით დასმის შესაძლებლობას გვაძლევს და შეგვიძლია სახელმწიფო ენის უახლეს გამოწვევებზეც გავამახვილოთ ყურადღება (კომპიუტერიზაცია, ინტერნეტსივრცე და სხვ.).

III თავი სიტყვათა კლასები. სახელები

წიგნის III თავი დასათაურებულია როგორც „სიტყვათა კლასები. სახელები“. ამ შემთხვევაში სახელების (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი) ფორმანარმოება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ზმნური მორფოლოგიისაგან ცალკე გამოიყო. ეს თავი, ცხადია, არსებითი სახელით იწყება, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ, რაკი არსებითი სახელის ფორმანარმოების საწყისი ცოდნა მე-5 კლასის პროგრამას დაუკავშირდა, აუცილებელია განვივლიოთ მასალის გახსენება: ბრუნვათა რაოდენობა, მათი რიგი, ბრუნვის ნიშნები, რიცხვის წარმოება...).

პირველ პარაგრაფად გამოყოფილია ე.წ. ნივთიერებათა სახელები, რომლებიც არსებით სახელთა სხვა ჯგუფებისაგან ლექსიკური შინაარსითაც გამოირჩევა და მორფოლოგიის თავისებურებებიც ახასიათებს. კერძოდ, გასათვალისწინებელია მრავლობითი რიცხვის წარმოების შეზღუდვა და ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ნივთიერებათა სახელებთან მრავლობითის ფორმების გამოყენება ხდება აუცილებელი.

შემდეგ შემოდის ორი მნიშვნელოვანი თემა: სახელის ფუძის ცვლილება ბრუნების დროს და ბრუნვის ფორმათა გავრცობის საკითხი. მოსწავლეებმა უკვე იციან ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთობა ერთგვაროვან სურათს არ იძლევა და არაერთი სახელის ფუძე ბრუნვის ნიშნის გავლენით გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას ექვემდებარება. ამჯერად ამ ცვლილებებს თავიანთ სახელს ვარქმევთ: ფუძეხმოვნის სახელთა ცვლილება კვეცაა (რადგან ბოლოკიდურა ხმოვნის მოკვეცა ხდება), ხოლო ფუძეთანხმოვნის სახელები ფუძის კუმშვას განიცდიან (რადგან ხმოვნის ამოღება ფუძის „შიგნიდან“ ხდება). ფუძის კვეცასა და კუმშვას თავისი გრამატიკული წესები აქვს და ეს წესები ბრუნვის ფორმათა მართლწერასთან არის დაკავშირებული. პედაგოგმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის, რომ სხვადასხვა კუთხური სამეტყველო ჩვევები ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან (თუ ერთგან ხმოვნის რედუქცია ფრიად ორგანულია, მეორეგან ურედუქციო ფუძეების გამოყენება არის ბუნებრივი: ცხვარის, საბელით...).

რაც შეეხება ბრუნვის ნიშანთა გაუვრცობელ და გავრცობილ ვარიანტთა გამოყენებას, თანამედროვე ქართულში აქ მთლიანად ფონეტიკური წესი მოქმედებს და ბრუნვის ფორმის სამეტყველო (სინტაგმატურ) პოზიციაზეა

დამოკიდებული, ამიტომაც ეს საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული მართლწერა-მართლმეტყველების წესებთან.

შემდეგი სამი პარაგრაფი საკუთარ სახელთა თავისებურებებს გვაცნობს. საკუთარ სახელებში, ცხადია, უპირველესად ადამიანთა (პირთა) სახელები და გვარები იგულისხმება. მაგრამ არსებობს სხვა საკუთარი სახელებიც: ადგილთა სახელები, ანუ ტოპონიმები, ცხოველთა სახელები და მისთ. საკუთარი სახელებიც, ჩვეულებისამებრ, ფუძეხმოვნიან და ფუძეთანხმოვნიან ჯგუფებად იყოფა, მაგრამ მათი ფორმანარმოება მნიშვნელოვან სხვაობას გვიჩვენებს საზოგადო სახელებთან. ერთმანეთისაგან განსხვავებულია პირთა სახელების, გვარებისა და გეოგრაფიული სახელების ბრუნებაც. რამენადაც ეს სახელები მეტყველებაში (ტექსტებში) ხშირად გამოიყენება, მათი ფორმანარმოების თავისებურებანი მართლწერის გამოცდილების (უნარების) მნიშვნელოვანი ნაწილია.

ზედსართავი სახელების კლასი ორი პარაგრაფითაა წარმოდგენილი. პირველი ვითარებითი (აქაური ტერმინით - მარტივფუძიანი) და მიმართებითი (წარმოქმნილი) ზედსართავების გარჩევას გვასწავლის, რაც საფუძველს ქმნის მომდევნო პარაგრაფისათვის, ვინაიდან ხარისხის წარმოება ძირითადად ვითარებითი ზედსართავებისათვის არის დამახასიათებელი. ხარისხის წარმოება ტრადიციული სამი წევრით არის წარმოდგენილი: ძირითადი (ნეიტრალური ხარისხის მიხედვით), ოდნაობითი და აღმატებითი. დააკვირდით: ეს უკანასკნელი ტერმინი განსხვავებულია ტრადიციულისაგან. ეს იმიტომ, რომ თანამედროვე ქართულში შესაბამისი ფორმები, მაგ. უმჟავესი „უფრო მჟავეს“ კი არ აღნიშნავს, არამედ „ყველაზე უფრო მჟავეს“, ანუ „სხვაზე მეტი“ (ანუ უფროობითი) კი არ არის, არამედ „ყველაზე მეტი“ (ანუ აღმატებითი).

რიცხვითი სახელების კლასი ასევე სამი პარაგრაფითაა წარმოდგენილი და მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რიცხვით სახელთა სამი ჯგუფის ურთიერთგანსხვავებაზე, მათს შეხამებაზე არსებით სახელებთან და რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებასა და მართლწერაზე. გაითვალისწინეთ, რომ რიცხვითი სახელების გამოყენებასთან ერთოგრაფიული შცდომების მნიშვნელოვანი წილი მოდის და სავარჯიშოებით განამტკიცეთ შესაბამისი ცოდნა და ჩვევა.

რიცხვითი სახელი შედარებით ერთფეროვანი კლასია ლექსიკური ფონდისა. ის თავისი მიმართებებით არსებით სახელთან თითქმის მთლიანად მისდევს ზედსართავ სახელს და მის ამ უკანასკნელი კლასის ერთ ქვეჯგუფად შემოტანაც შეიძლებოდა, ტრადიცია რომ არა.

ციფრები და რიცხვები, როგორც ცნობილია, აბსტრაქციაა, მაგრამ მათი შესაბამისი სიტყვები, რომლებიც ენის ფონდში იკავებენ ადგილს, ცხადია, ენობრივად უნდა იქნეს განხილული.

რიცხვითი სახელი საგანთა რაოდენობას გამოხატავს. ეს არის ძირითადი ნაწილი რიცხვითი სახელებისა, „რაოდენობითის“ სახელით რომ არის ცნობილი. ამ რიგის რიცხვითი სახელები ორი ტიპისაა: განსაზღვრული (ერთი, სამი, ათი) და განუსაზღვრელი (ცოტა, ბევრი, მრავალი). არსებითი სახელი ორივეს-

თან მხოლოებით ფორმით გამოიყენება (თუ ნართანიან მრავლობითთან არა გვაქვს საქმე).

ცალკე ადგილი ეთმობა რიგობით რიცხვით სახელს. ამ სახელწოდების შესაბამისი სიტყვები მნიშვნელოვნად განსხვავდება ძირითადი რიცხვითი სახელებისაგან იმით, რომ ისინი რიცხვს (ანუ რაოდენობას) კი არ გამოხატავენ, არამედ მხოლოდ ერთს (ოღონდ რომელიღაც ერთს – მრავლისაგან). არ არის მართებული აზრი, თითქოს რიგობითი რიცხვითი სახელი რიგს გამოხატავს. ის თავისი შინაარსით არის რიგითი ნომერი რიგში მყოფი რომელიმე საგნისა. ამიტომაც ამ შემთხვევაში მასთან სხვა სიტყვების რიცხვში შეხამების საკითხი არც დგას.

პრაქტიკული ამოცანა, რომელიც ამ შემთხვევაში რიგობითის შემოტანას ახლავს, არის თვით ამ ფორმათა სწორად წარმოქმნა და წერა. კერძოდ, ის, რომ რთული აგებულების რიცხვით სახელებში რიგის მანარმოებელი თავსართ-ბოლოსართი ბოლო სიტყვას მოუდის (მე-ხუთ-ე, მაგრამ ოცდა-მე-ხუთ-ე).

ენაში არსებულ სიტყვათა კიდევ ერთი თავისებური კლასი არის ნაცვალსახელები. ისეთი შინაარსობრივი მრავალფეროვნება, როგორც ამ კლასს ახასიათებს, არცერთ სხვა ჯგუფში არ შეიმჩნევა. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ჯგუფში შემავალი სიტყვები ყველა სხვა სახელის მონაცვლედ გამოიყენება. ამდენად, ნაცვალსახელთა კლასი უფრო ფუნქციით (როლით), არის გაერთიანებული და არა საკუთარი შინაარსით. სწორედ ეს განაპირობებს ამ კლასის ჯგუფობრივ ნაირგვარობას. ამ კლასის სახელმძღვანელოში ნაცვალსახელთა კიდევ სამ ჯგუფს ვეცნობით. ეს არის კითხვითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. ნაცვალსახელთა ფორმანარმოებასთან მნიშვნელოვანი თავისებურებებია დაკავშირებული და იმედია, შესაბამისი სავარჯიშოების გამოყენებით მოსწავლეები განიმტკიცებენ ნაცვალსახელების შესახებ წინა სასწავლო წელს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

IV თავი

სიტყვათა კლასები. ზმნა

წიგნის IV თავი ზმნის ფორმანარმოებას ეძღვნება. ამ თავში შემავალი პარაგრაფები აგრძელებს იმ საწყის მასალას, რომელიც მე-5 კლასში ზმნის თემაზე იყო განხილული და, ბუნებრივია, განვლილი მასალის გამეორებასაც გულისხმობს.

გავიხსენოთ: ზმნის მოქმედებაში მონაწილე მოქმედ პირებს შორის, იმავე „სცენური“ პრინციპით, გაირჩევა მთავარი მოქმედი პირი და ის პირები, რომელთაც მისი მოქმედება მიემართება.

ასე გამოიყოფა სუბიექტი, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელი პირი, და ობიექტები, ანუ მოქმედების განმცდელი, „მიმღები“ პირები.

სუბიექტი ზმნაში აუცილებლად მოიპოვება, ვინაიდან ზმნა, როგორც მოქ-

მედება, შემსრულებელს უპირობოდ მოითხოვს, ობიექტები კი შეიძლება არც იყოს.

ობიექტების განსხვავებას ამ ეტაპზე არ ვახდენთ.

პირების შეწყობა ზმნასთან არსებითად მოქმედი პირების განსაზღვრაა, ოღონდ პირების შეწყობის დროს ნებისმიერი მოქმედი პირის ადგილს პირის ნაცვალსახელი დაიკავებს.

ზმნის ფორმაცვალება, უპირველეს ყოვლისა, პირების მიხედვით ხდება. ზმნა იმ პირში უნდა იდგეს, რომელიც მოქმედად არის წარმოდგენილი. როგორ განისაზღვრება პირები, ეს უკვე ვიცით პირის ნაცვალსახელების სისტემიდან. შესაბამისად, პირველი პირის ზმნა იქნება ის, რომელიც გულისხმობს მე-ს (რას ვშვრები?), მეორე – შენ-ს (რას შვრები?), მესამე – ის (მან)-ს (რას შვრება?).

უღლების სრული პარადიგმა სწორედ პირთა კომბინაციების ძირითადი სისტემით იწყება. თუკი პირის ძირითად ექვს ფორმას (3 – მხოლობითში და 3 – მრავლობითში) ერთმანეთს ზუსტად მივუწეროთ „ქვეშმინერით“, პარადიგმა თვითონ გვიკარნახებს თითოეული პირის შესაბამისი პირის ნიშნის ადგილს:

ვნერ (მე)	ვნერთ (ჩვენ)
ნერ (შენ)	ნერთ (თქვენ)
ნერს (ის)	ნერენ (ისინი)

გაითვალისწინეთ: ზმნის დონეზე, ზმნისწინების გარდა, მორფოლოგიური ელემენტები გამონაწევრებული არ არის, თუმცა, ტექსტში პირისა და რიცხვის ნიშნები შავად არის აწყობილი. მოწაფეებმა ისედაც იციან ბრუნების სისტემიდან ფორმების ფუძედ და აფიქსებად დაშლის პრინციპი. მაგრამ ზმნაში ამგვარი ანალიზი იმდენად რთულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომ ამ მოვლენის სრული ანალიზი შეიძლება სამომავლოდ გადავდოთ. ფორმათა მიმართება ისედაც ჩანს, ხოლო ორთოგრაფიულ ამოცანას შეიძლება პრაქტიკული სავარჯიშოებით მოევლოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმაზე მითითებას, რომ პირთა კლება-მატებას შეუძლია ზმნის შინაარსის არსებითი ცვლილება გამოიწვიოს (ნერს - სნერს და მისთ.).

პირთა მიხედვით ზმნის უღლებისათვის შემოთავაზებულ სქემაში ნაკლები პირის ფორმების აღდგენა რთული არ არის.

ზმნა და მოქმედების დრო: რამდენადაც ზმნა მოქმედებას გამოხატავს, ხოლო მოქმედება აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ მას რომელიღაც დროში ჰქონდა ადგილი, ამიტომაც ზმნის მიერ გამოხატული მნიშვნელობებიდან უპირველესად დროის კატეგორია იქცევა ყურადღებას.

ამ დროისათვის ბავშვებმა უკვე საფუძვლიანად იციან დროის ძირითადი დანაწევრება: წარსული, აწმყო და მომავალი. მოქმედების „ხდომილება“ იმასთან მიმართებით განისაზღვრება, საიდანაც თვით მოქმედების შესახებ მიმდინარეობს საუბარი. მეტყველების მომენტი ყოველთვის აწმყოა; შესაბამისად, მოქმედება, რომელსაც ამ პოზიციიდან ავსახავთ, შეიძლება დროში თანხვე-

ბოდეს მეტყველებას, ანუ იყოს ანმყო; შეიძლება აღინიშნებოდეს, როგორც უკვე მომხადრი ფაქტი, ანუ იყოს წარსული და შეიძლება მეტყველების მომენტში ჯერაც მოსახდენი იყოს, ე. ი. იყოს მომავალი დრო.

ამდენად ზმნის დრო განისაზღვრება თქმის მომენტის გათვალისწინებით და ზმნის სხვადასხვა ფორმას ანაწილებს სამ დროში: წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

დროს ამოცნობისათვის შეიძლება დამატებით მოვიშველიოთ კითხვები ან ზმნისართები:

- რას შვრება? – ახლა
- რა ქნა? – გუშინ
- რას იზამს? – ხვალ

ამ თემასთან დაკავშირებულია ასევე ლექსიკური შინაარსის მასალა. კერძოდ, სტილისტიკური ასპექტით ყურადღება უნდა მივაქციოთ **თქვა** და **უთხრა** ზმნათა სინონიმების გამოყენებას, ვინაიდან ამ თვალსაზრისით მოზარდების ენა ერთობ არის გაღარიბებული.

აქვე შემოდის თავაზიანი მრავლობითის თემა, როგორც ქართული მეტყველების კულტურის აუცილებელი ელემენტი.

ზმნისწინი სემანტიკურადაც და ფორმალურადაც ყველაზე უფრო გამოკვეთილი ოდენობაა ზმნის სისტემაში. თანაც, რამდენადაც სივრცულ ორიენტაციას გამოხატავს, ვიზუალურად ერთობ თვალსაჩინოა.

ეს მომენტი ზმნისწინის სწავლების დროს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და ამით წარმოვაჩინოთ ის ძირითადი ფუნქცია, რაც ზმნის ამ მრავალრიცხოვან თავსართებს გააჩნია: მოქმედების ორიენტაცია – ლოკალიზაცია. ამ მიზნით გამოვიყენოთ ის გრაფიკა, რომელსაც სახელმძღვანელო გვთავაზობს.

თემას სავარჯიშოები ძირითადად ამ კუთხით ერთვის. ამავე დროს, ზმნისწინს რომ სხვაგვარი მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს, განმტკიცდება თანდართული სავარჯიშოების მეშვეობით.

ზმნის კილო სემანტიკურად რთული კატეგორიაა, რადგან მას პირდაპირი მორფოლოგიური ნიშანი არა აქვს. არადა ამ კატეგორიას, მწკრივთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის. კილო ფაქტობრივ ფუნქციონირების დონის ერთეულია და ის მწკრივის ფორმებს მაკონსტრუირებელი უნარით განარჩევს. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული მწკრივთა სისტემა ორ ჯგუფად იყოფა: თხრობითი კილოს მწკრივები და კავშირებითი კილოს მწკრივები. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ თხრობითი კილოს ფორმა დამოუკიდებლად გამოხატავს შესაბამის ზმნურ შინაარსს, ასეთი ფორმა ფაქტობრივ მარტივი წინადადების შინაარსის შემცველია. ხოლო კავშირებითი კილოს ფორმას დამოუკიდებლად დასრულებული აზრის გამოხატვა არ შეუძლია, მას კონკრეტული შინაარსის გადმოსაცემად აუცილებლად სჭირდება კავშირი წინადადების შემადგენელ სხვა სიტყვასთან. ამიტომაც ჰქვია მას კავშირებითი. მაგალითად, რომ ავილოთ ზმნური ფორმა **სწერს**, მასში სამი

პირიც რეალურად ჩანს (ის მას მას) და მოქმედების შინაარსიც (ანმყოფი მიმდინარე მოქმედება). სამაგიეროდ ფორმა **სწერდეს** თავისთავად არაფერს არ გვეუბნება, თუ მას არ დაემატა გამოსახატავი შინაარსის შემავსებელი სიტყვა (მაგალითად, **უნდა სწერდეს, დროა, რომ სწერდეს** [წერილს] და მისთ.).

ცხადია, მოსწავლეებს ასეთ რთულ ანალიზს ვერ დავაკისრებთ, მაგრამ ეს არსებითი განსხვავება შემდგომ გამოგვადგება იმის განსამარტავად, რატომ არის ყველა სერიაში ტერმინი „კავშირებითი“ მწკრივთა სახელწოდებად გამოყენებული (პირველ სერიაში კი ორი მწკრივია ასეთი).

რაც შეეხება ბრძანებითს, გაითვალისწინეთ, რომ ეს სახელწოდება კილოს კატეგორიაში ძველი ქართულის მწკრივთა სისტემას მოეპოვებოდა, რადგანაც შესფერისი ზმნური ფორმები არსებობდა. თანამედროვე ქართულ მწკრივებს შორის კი ბრძანებითის ფორმა ცალკე არ არსებობს, ამიტომაც ბრძანებითს, როგორც კილოს ზმნურ კატეგორიას, ვეღარ მივუჩინებთ ადგილს.

ასპექტი ასევე უშუალოდ უკავშირდება ზმნის უღლების სისტემას, რამდენადაც ის მწკრივის ფორმებს მოქმედების შინაარსის მიხედვით განასხვავებს. ასპექტის კატეგორია თანამედროვე ქართულში უშუალოდ უკავშირდება ზმნისწინს; კერძოდ, ზმნისწინიანი ფორმები დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს და ის სრული ასპექტის ფორმაა, ხოლო უზმნისწინო ფორმა მოქმედების დაუსრულებლობაზე მიუთითებს და ის უსრული ასპექტის ფორმაა. კერძოდ, **ხატა** და **დახატა** იმით უპირისპირდება ერთმანეთს, რომ პირველ შემთხვევაში ხატვის პროცესი დაუსრულებლად შეწყდა (ხატა სურათი, მაგრამ ვერ დაასრულა), ხოლო **დახატა** ამ პროცესის დასრულებას გულისხმობს (დააკვირდით: უსრული ასპექტის ფორმის გამეორება ხშირია: **ხატა, ხატა** და... სრული ასპექტის ფორმის გამეორება კი შეუძლებელია: **დახატა, დახატა**... უაზრობაა).

აუცილებელია გაითვალისწინოთ, რომ ზმნისწინთან ზმნური დროის გამოხატვაც არის დაკავშირებული და მათ გადაკვეთის წერტილებიც აქვთ, კერძოდ, პირველი სერიის მწკრივები ასე უპირისპირდება ერთმანეთს (ხატავს - დახატავს ანმყო-მყოფადის ოპოზიციას წარმოგვიდგენს, მაგრამ ის იმავე დროს ასპექტურ დაპირისპირებასაც გამოხატავს: ხატავს უსრული ასპექტია, დახატავს - სრული).

უღლება ქართული მორფოლოგიის გამორჩეულად რთული უბანია.

ამ სისტემის აგება სწავლების ამ დონეზე უფრო იმიტომ არის აქტუალური, რომ ბავშვები აქტიურად სწავლობენ უცხო ენებს და ენების ტიპოლოგიურ მიმართებაში ზმნა განსაკუთრებულ როლს თამაშობს. უცხო ენის ფაქტორი რომ არ იყოს, შეიძლებოდა ამ სისტემის სწავლება კიდევაც დაყოვნებულიყო.

ამჯერად უნდა ვეცადოთ, რომ უღლების სურათი რაც შეიძლება მსუბუქი ფორმით შევთავაზოთ. ამისათვის არის შეთხზული ლექსი, რომელსაც ორმაგი დატვირთვა ენიჭება: ამ ლექსში ყველა მწკრივის ფორმა თანმიმდევრობით არის მოცემული ამ თვალსაზრისით ძირითად – მესამე – პირში. თანაც, მწკრივებით გამოხატული მოქმედებები („თესვა“: „რასაც დათესავ, იმას მოიმიკი“) სწორედ ადამიანის მემკვიდრეობის თანმიმდევრობას უკავშირდება. ამით პირდაპირ

გამოიხატება ზმნის უღლების პირდაპირი კავშირი ძირითად კატეგორიასთან – დროსთან. ამ კავშირის თვალსაჩინო წარმოდგენის მიზნით ლექსს რვეულში შესავსები მარტივი სქემაც ახლავს, რომლის მიხედვითაც გამოჩნდება, რომ წინაპრის მოქმედება ყველაზე ღრმა წარსულშია (დაუთესავს), პაპისა – წარსულში (დათესა) და ა. შ.

როგორც ითქვა, ლექსები ამ წიგნში ზეპირად სასწავლად არ არის გათვალისწინებული, მაგრამ პრაქტიკული მოსაზრებით ეს ლექსი შეიძლება დაიმახსოვრონ კიდევ (მით უფრო, რომ, თუ დააკვირდებით, ამ ლექსში სერიებად და წრეებად დაყოფაც არის შენარჩუნებული სტროფების მიხედვით, რაც შემდგომ იქნება გამოსადეგი).

უღლების გაცნობის შემდეგ უკვე სისტემის შიგნით განისაზღვრება მწკრივის რაობა, რომელიც არსებითად ნაჩვენები იყო ზმნის პირების წარმოდგენის დროს (ოღონდ მხოლოდ ანმყოფი).

– რა არის მწკრივი?

– საზოგადოდ, მწკრივი არის რაღაც ერთეულების მიმდევრობა, რიგი.

ამ შემთხვევაში უღლების თერთმეტი ერთეულიდან მწკრივი გამოდის თითოეული მათგანი. მაგრამ რატომ ჰქვია მათ მწკრივი, შეიძლება ერთი შეხედვით ნათელი არ იყოს (სანიმუშო უღლებაში ხომ თითო – მესამე პირის – ფორმას ყოველი მწკრივისათვის შეთავაზებული).

ამჯერად თვალსაჩინოებისათვის ვთავაზობთ უღლების თითოეული ერთეულის ექვსივე პირის ფორმას სწორედ (ჭიანჭველების) მწკრივის თანმიმდევრობით. თანაც პირველი მწკრივის შემდეგ სქემა მხოლოდ თითო წევრით არის წარმოდგენილი და ის შევსებას მოითხოვს.

აქვე არის ჩამოწერილი ყველა მწკრივის კითხვა შესაბამის ზმნურ ფორმასთან ერთად, რაც ასევე შეგვიძლია ნავახმაროთ პრაქტიკულ სავარჯიშოს.

როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე მწკრივთა სახელწოდებები არ არის შემოტანილი, რადგანაც ეს უღლების სრულ წარმოდგენას მოითხოვს და სხვა ძირითადი კატეგორიებიც გახდებოდა განსახილველი.

ისევე, როგორც ბრუნების სისტემა, ამ სისტემის სწავლება თანდათანობით იქნება ახალი მონაცემებით შევსებული.

რას გულისხმობს პარაგრაფი „სიმრავლის თავისებური გამოხატვა“? აქ საუბარია ერთ თავისებურ მოვლენაზე – ზმნაში სუბიექტ-ობიექტების მრავლობითობის გამოხატვაზე ზმნის ფუძის ცვალებადობის გზით (მაგ. დაჯდა – დასხდნენ, დააგდო – დაყარა...). განსაკუთრებით რთულია ვითარება იმ შემთხვევაში, როდესაც კრებითი სახელის შეთანხმება ხდება ზმნასთან. ამ დროს ფუძე უნდა შეიცვალოს, მაგრამ მრავლობითის დაბოლოება ფორმას არ დაერთვის (შდრ.: „კაცები დასხდნენ“, მაგრამ „ხალხი დასხდა“).

ამ საკითხის სწავლება პირველ რიგში პრაქტიკულ მიზანს ემსახურება, ვინაიდან ამ თვალსაზრისით შეცდომები ჩვეულებრივ ამბად იქცა. ამიტომაც არა მარტო ამ მასალაში, არამედ ნებისმიერი თხზულების შედგენისა თუ თხრობის დროს ამ მხრივ ყურადღებით უნდა ვიყოთ.

კუთვნილების გამოხატვა ზმნაში გულისხმობს ქცევის კატეგორიის მნიშვნელოვანი როლის ჩვენებას ქართული ზმნის სისტემაში. ქცევის სისტემა ამ ეტაპზე არ ისწავლება, მაგრამ პრაქტიკული გრამატიკის თვალსაზრისით ამ მოვლენისათვის გვერდის ავლაც არ არის მიზანშეწონილი.

ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, ეს მოვლენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თანამედროვე ენობრივი ტენდენციების გათვალისწინებით. საქმე ის არის, რომ იმ ენების გავლენით, რომლებშიც ზმნაში ქცევის კატეგორიის გამოხატვა არ არის ნიშანდობლივი, ქართულში შესამჩნევად იკლო ზმნის სათანადო კუთვნილებითი ფორმების გამოვლენამ და, სამაგიეროდ, შეიმჩნევა კუთვნილებითი ნაცვალსახელების როლის ზრდა ამ ფუნქციით. ეს ქართული ენის ბუნების სანინაალმდეგო ტენდენციაა.

ამ თვალსაზრისით შთამბეჭდავია ის მაგალითი, რომელიც ტექსტში რ. ინანიშვილის მოთხრობიდან არის დამონმებული: (პაპამ ქალს ჯოხს) დაუკრა ფეხი მწერლისათვის ბუნებრივი ეს „ოთხპირიანი“ ზმნა, რომელიც ყველაფერთან ერთად, იმასაც გამოხატავს, რომ ჯოხი ქალის კუთვნილებაა, თანამედროვე ქართულზე „ყურგახედნილი“ ქართველისათვის არცთუ ბუნებრივი ჟღერადობისა იქნება. არადა, ქართული ენის, კერძოდ, მისი ზმნის, შესაძლებლობები სწორედ ამგვარ ფორმებშია რეალიზებული.

ამდენად, ეს კიდევ ერთი იმ საკითხთაგანია, რომელსაც გულისყურით უნდა მოვეკიდოთ და ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი ქცევის კატეგორიის თეორიული ცოდნა. მთავარია დევიზი, რომელიც სახელმძღვანელოშია მითითებული:

თუ შესაძლებელია, კუთვნილება ზმნის ფორმით გამოვხატოთ!

ამ თავის ბოლო პარაგრაფში განხილულია სახელზმნათა ორი კატეგორია: ე.წ. საწყისი და მიმდებარე. საწყისის ცნება იმ შინაარსს გამოხატავს, რომ ამგვარ სიტყვებში მოქმედების (ანუ ზმნის) მნიშვნელობა ამოსავალი, „საწყისი“ სახით არის მოცემული (თუმცა ისიც ცნობილია, რომ ქართულისათვის ეს ტერმინი არ არის ზუსტი და უკეთესია მის გამოსახატავად ტერმინი **მასდარი** გამოვიყენოთ). მაგრამ საწყისები ჯერ კიდევ ზმნები არ არის. ზმნებად ქცევისათვის მათ სათანადო ფორმა უნდა შეიძინონ, ანუ რომელიმე პირის მოქმედებად უნდა იქცნენ: „ხატვა“ მოქმედების შინაარსს შეიცავს, მაგრამ უშუალოდ მოქმედებას არ გულისხმობს, არც „მოქმედი“ ჩანს მასში, რაც ზმნისათვის აუცილებელია.

ამგვარად, **საწყისი** არის **ზმნისა** და **არსებითი** სახელის შუალედური სიტყვა და ის სწორედ ამ ორმაგი მიმართებით უნდა ამოვიცნოთ: საწყისს შინაარსი ზმნისა აქვს, მაგრამ კითხვა სახელისა დაესმის („რა?“) და სახელის მსგავსადვე იბრუნება.

საწყისის ზმნად ქცევა გულისხმობს მისთვის ისეთი ფორმის მინიჭებას, რომელიც ზმნის კითხვაზე უპასუხებს (რას შვრება? რა ქნა? და მისთ.).

როგორც ცნობილია, სიტყვანარმოებაში ცალკე გამოყოფენ აბსტრაქტული სახელების წარმოებას. ჩვენეული მიდგომა სიტყვანარმოების დეტალურ სწავლებას არ ითვალისწინებს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში განვიხილავთ კონკრეტულ წარმოქმნილ სახელებს.

ამჯერად მოსახერხებელად არის მიჩნეული **-ობა** დაბოლოებიანი სახელების წარმოება საწყისის თემას დაუკავშირდეს, რამდენადაც, ჯერ ერთი, საწყისიც სიტყვანარმოების პროდუქტია (ზმნა იქცევა სახელად), მეორეც, აღნიშნული დაბოლოება სწორედ საწყისის მანარმოებელია (თუმცა თავად საწყისის წარმოების მოდელზე აქ არ ვამახვილებთ ყურადღებას).

აქ მთავარი ის არის, რომ ეს მოდელი ფრიად აქტიური და პროდუქტული ფორმაა გარკვეული ტიპის სიტყვათა წარმოქმნისა: ასეა წარმოქმნილი ხალხური დღესასწაულების, თამაშობათა სახელები და სხვა. ამისათვის აიღება ძირითადი არსებითი სახელი და **-ობა**-ს დართვით გარდაიქმნება რაიმე ჩვეულების გამომხატველ სახელად (მაგ ბურთი და ბურთაობა, ხმალი და ხმალაობა, კენჭი და კენჭაობა და ა. შ. აქვე გავიხსენოთ, რომ მესამე კლასში ფუნდურა სიტყვასთან ვთავაზობდით „ფუნდურაობის“ თამაშს, რომელიც შემდეგ გარგანტუას თამაშებშიც გამოჩნდა).

მიმღობათა წარმოება საკმაოდ რთულ სისტემას გვიჩვენებს როგორც ფორმოზრივად, ისე სემანტიკურად და ამ ეტაპზე მას სრულად ვერ წარმოვაჩინებთ. აქ განხილულია მიმღობის ის ძირითადი სახეები, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია. ეს არის სასუბიექტო და საობიექტო მიმღობათა ოპოზიცია. პირველი ზმნური მოქმედების სუბიექტს განასახიერებს (**დამხატავი**), მეორე - ამავე ზმნის ობიექტს (**დახატული**). როგორც ცნობილია, ამ გრამატიკულ ოდენობათა აღმნიშვნელ ტერმინებად მოქმედებითი გვარისა და ვნებითი გვარის მიმღობებსაც იყენებენ. მაგრამ უპირატესად აქაც **სასუბიექტო-საობიექტო** უნდა მივიჩნიოთ, რადგან ისინი უფრო ორგანულად ასახავს ამ ფორმათა ზმნურ შინაარსთან მიმართებას.

როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე შეგნებულად ვუვლით გვერდს იმას, რომ საობიექტო მიმღობა არა ერთი, არამედ რამდენიმე (კიდევ – სამი ფორმა) არსებობს.

შეიძლება დამატებით ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ მიმღობებს გასუბსტანტივებისკენ საკმაოდ ძლიერი მიდრეკილება ახასიათებს: მხატვარი, მწერალი, მასწავლებელი, მატარებელი და მისთ.

V თავი წინადადება

V თავი – „წინადადება“ – ეძღვნება სინტაქსის საკითხებს. მისი პირველი პარაგრაფი „ზმნა და წინადადება“ ერთგვარი ხიდია გრამატიკის ორ დარგს – მორფოლოგიასა და სინტაქსს – შორის.

გავიხსენოთ: „წინადადების“ განმარტება ბავშვებმა უკვე იციან წინა კლასებიდან. აქ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ წინადადების აგების, ანუ სიტყვათა შეკავშირების შესაძლებლობები მრავალგვარია და რომ ამ პოტენციის რეალიზაცია მიზანზეა დამოკიდებული; მიზანი კი რაიმე აზრის გამოხატვაა. ამგვარად, მსჯელობა იქით მიდის, რომ სიტყვების არსებობა ჯერ კიდევ

არაფერს ნიშნავს იმისათვის, რაც გვაქვს სათქმელი. ამიტომაც აქ ძალზე მოსახერხებელია საყოველთაოდ გავრცელებული მეთოდი – მოცემული სიტყვებით ფანტაზირება. მაგალითად, რა ასოციაციას შეიძლება აღძრავდეს „ვარდის კონა“ ანუ თაიგული? მით უფრო – „ვარდის კონა“ და „გული“, მეტიც – „ვარდის კონა“, „გული“ და „მოყვარე“. რამდენიმე შესაძლებელი წინადადების ჩამოყალიბება შეიძლება ბავშვების აქტიურობით, მაგრამ არც ერთი არ იქნება რუსთაველისეული: „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამინყლულა“.

ამგვარად, შევთავაზოთ რომელიმე სამი სიტყვა (სახელები) და შევადგენინოთ შესაძლებელია წინადადებები. რაც უფრო სემანტიკური კავშირის გარეშე იქნება ეს სიტყვები დასახელებული, მით მეტია ფანტაზირების შესაძლებლობა.

ამ ვარჯიშიდან აშკარად გამოიკვეთება, რომ სიტყვათა ჯგუფი წინადადებად მხოლოდ ზმნის მონაწილეობის შედეგად იქცევა. წინადადების აზრსაც არსებითად ზმნის შინაარსი განაპირობებს, ვინაიდან სიტყვების ურთიერთობის აზრი სწორედ მასშია გამოხატული.

ზმნა, როგორც მოქმედების „სახელი“, მონაფეებმა უკვე იციან და აქ მისი შემოტანა რაიმე უხერხულობას არ ქმნის. ამავე დროს, პრინციპულად გასათვალისწინებელია, რომ, როგორც დაწყებით კლასებში, ისე ამ დონეზე, „ზმნა“ ტერმინი არის გამოყენებული სინტაქსის დონეზეც („შემასმენელს“ გამოვრიცხავთ) და ამით ხაზს ვუსვამთ, ჯერ ერთი, იმ განუყოფელ კავშირს, რომელიც არსებობს მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის. მეორეც და მთავარი – ცნება „შემასმენლის“ შემოტანას არავითარი ახალი გაგება არ შემოაქვს ენობრივი ანალიზის დონეზე, უბრალოდ, გაუგებრობას იწვევს ორი ტერმინის ფუნქციონირება ერთი და იმავე ოდენობის გამოსახატავად (ამ წინააღმდეგობის მოვლას იმით ცდილობენ, რომ ტერმინ „ზმნა-შემასმენელს“ გამოიყენებენ, რაც დამატებითი გაუგებრობაა). ამიტომაც არის, რომ თანამედროვე სინტაქსურ თეორიებში ზმნას ცალკე სინტაქსური სახელი არ ჰქვია (ბუნებრივია ასეთი ვითარება არ არის დანარჩენ „მეტყველების ნაწილებში“, ვინაიდან იქ წინადადების წევრებად მათი გამოყენება ასეთ ცალსახა დამოკიდებულებას არ გვიჩვენებს).

ამგვარად, ნუ გამოიყენებთ „შემასმენლის“ ცნებას.

ზმნას ქართული წინადადების აგებაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება, რადგანაც მრავალპირობის გამო იგი ფაქტობრივ მინიატურული წინადადებაა, ანუ ზმნის წარმოთქმით უმეტესად მთელ სინტაქსურ კონსტრუქციას გავიაზრებთ. დავალების ერთი პუნქტი სწორედ ამას ითვალისწინებს; ზმნებმა უნდა გვიკარნახონ, რა წინადადება ავაგოთ. ამგვარად, აქ არის ამოცანა „აზრიდან – წინადადებისაკენ“ (განსხვავებით დასაწყისში წარმოდგენილი ამოცანისა – „სიტყვებიდან – აზრისკენ“).

ამ ეტაპზე უკვე აქტუალური ხდება წინადადების მთავარი და არამთავარი წევრების“ გარჩევის საკითხი, ვინაიდან ეს კლასიფიკაცია დანარჩენი წევრების ზმნასთან მიმართებაზეა დამოკიდებული.

მას შემდეგ, რაც ვადგენთ, რომ წინადადება შეიცავს ნამდვილ წევრებს, ანუ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს, და ე. წ. დამხმარე სიტყვებს, აუცილებელი ხდე-

ბა ნამდვილი (სრულმნიშვნელოვანი) ნევრების ურთიერთმიმართების დადგენა, რაც, ერთი მხრივ, შესიტყვებათა გამოყოფის პრინციპს უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ - წინადადების ნევრთა გარკვეული იერარქიის სურათს ქმნის. ამ მიზნით შემოთავაზებული სქემები, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება იმისათვის, რომ მოზარდებისათვის თვალსაჩინო იყოს ძირითადი სინტაქსური სტრუქტურების ბუნება.

აშკარაა, რომ ზმნას უშუალოდ უკავშირდებიან წინადადების მთავარი ნევრები - სუბიექტი და ობიექტები და, ამავე დროს, ერთადერთი არამთავარი ნევრი - გარემოება. დააკვირდით, ანალიზის სქემაში ამ უკანასკნელს განკერძოებული ადგილი უჭირავს. მოქმედების გარემოებანი, როგორც მოგეხსენებათ, სხვადასხვა სახისაა და აუცილებელი წინადადების ანალიზის ამ მნიშვნელოვანი პუნქტის მეტად გათვალსაჩინოება. ამიტომაც ეძღვნება ამ საკითხს ცალკე პარაგრაფი „ზმნა და მოქმედების გარემოებანი“ და აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ უკვე ნაცნობი „კითხვების ბორბალი“.

შემდგომი პარაგრაფები, რომლებშიც ნევრთა „გადაძახილის“ შესახებ არის საუბარი, უპირველესად სწორედ გარემოებათა მიხედვით შეკავშირებულ რთულ წინადადებათა აგებულებას ეხება.

ამ თავში მაქსიმალურად გამარტივებულად და სქემატურად არის შემოტანილი რთულ წინადადებათა ორგვარი სტრუქტურული ტიპი.

გავიხსენოთ: როგორ გავარჩიოთ მარტივი და რთული წინადადებები, თუ არ ვიცით, რა არის ან ერთი, ან მეორე?

- საქმეც ის არის, რომ წინადადების ცენტრალურ ნევრზე - ზმნაზე - დაყრდნობით წინადადების საერთო სტრუქტურის ცოდნის გარეშე შეიძლება იმის განსაზღვრა, მარტივია ის თუ რთული. ცხადია, ის შესაძლებლობა, რომ უფრო მარტივი ხერხით შეიძლება გადავწყვიტოთ დასმული ამოცანა, პედაგოგიკაში აუცილებლად გამოსაყენებელია.

დიახ, ზმნაზე დაყრდნობით ამის განსაზღვრა სრულიად შესაძლებელია.

წესი ასეთია: ზმნა წინადადების გულია. გული - ერთია. მაშ, ერთი ზმნა - ერთ წინადადებას გულისხმობს. ეს არის მარტივი წინადადების სახე. თუ ერთ წინადადებაში ორი და მეტი ზმნა აღმოჩნდა, ცხადია, ის წინადადება რთული იქნება. შერწყმული წინადადების გამოცალკევება შემდგომში მოხდება.

მარტივი წინადადებების შეკავშირებით რთული თანწყობილი წინადადების მიღება და რთული თანწყობილი წინადადებიდან უშუალო გადასვლა რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციაზე, ვფიქრობთ, ხელშესახება დაუხატავს მოსწავლეებს სინტაქსური ტრანსფორმაციების ბუნებას. დანარჩენი კი მომავლის საქმეა.

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

მეთოდულ კაში ცნობილია სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგი ეტაპები ანუ ფაზები:

- ა. მოტივაცია;
- ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა;
- გ. ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება;
- დ. ძირითადი მასალის გაცნობის შემდეგ (ან პარალელურად) შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ჩვენ ვცდილობდით, თითოეული პარაგრაფი სწორედ ამ პრინციპზე აგვეგო, რაც ნათლად ჩანს პარაგრაფის სტრუქტურიდან. მასწავლებელმა უნდა დაეყოს პარაგრაფი გაკვეთილის ხანგრძლივობის შესატყვის მონაკვეთებად და განსაზღვროს თითოეული კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და აქტივობები.

გთავაზობთ გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს: გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა სამი კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს:

1. რა შედეგს ველი ამ გაკვეთილისგან? ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ (განავითარონ) მოსწავლეებმა?
2. როგორ უნდა მივიღო სასურველი შედეგი?
3. როგორ გავიგო, რომ შედეგი მივიღე?

პასუხი პირველ კითხვაზე არის **გაკვეთილის მიზანი**; მეორე კითხვა გაკვეთილზე შესასრულებელი **აქტივობების** დაგეგმვაში დაგვეხმარება; მესამე კითხვა კი **შეფასების ფორმების** განსაზღვრისთვის არის საჭირო.

ამავე ეტაპზე უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო **აუცილებელი პირობები**, ანუ რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა, რომ დასახული ამოცანის შესრულება შეძლონ (სჭირდებათ თუ არა მათ წინასწარ გარკვეული საკითხების დამუშავება, ინფორმაციის მოძიება და სხვ.).

სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს აგრეთვე, რა მასალა დასჭირდება მას გაკვეთილის ჩასატარებლად (წიგნები, ციფრები, თვალსაჩინოება...).

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გაკვეთილის აღწერა.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის სცენარს.

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები

გაკვეთილი I

გაკვეთილის თემა:

გიორგი ლეონიძე, „ვეფხისტყაოსანს“

გაკვეთილის მიზანი

- ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- ტექსტის გაგება-გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ზეპირმეტყველების უნარის განვითარება;

აქტივობები

- მწერლის სათქმელის ამოცნობა ტექსტში;
- მხატვრულ სახეებზე მუშაობა;
- კითხვარის დამუშავება;
- რითმის სახეების ამოცნობაზე მუშაობა.

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე — განმავითარებელი შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობა

- ახალი მასალის ახსნამდე მასწავლებელი სვამს სახელმძღვანელოში ტექსტის წაკითხვამდე მოცემულ კითხვებს.
- პასუხები ლექსისა და პროზის განმასხვავებელი ნიშნებისა ინერება დაფაზე და კლასში გაანალიზდება მასწავლებელთან ერთად.
- შემდეგ მასწავლებელი კლასს კითხვების საშუალებით გაახსენებს V კლასში ნასწავლ ეპიზოდს „ვეფხისტყაოსნიდან“.
- მეორე კითხვაზე პასუხისთვის მასწავლებელი დაფაზე წერს ლექსის სათაურს, „ვეფხისტყაოსანს“ და სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა განწყობა იქნება ამ ლექსით გამოხატული? პასუხები ასევე ინერება დაფაზე და გაანალიზდება თითოეული პასუხი, ანუ რატომ ფიქრობენ ასე.

10 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი კითხულობს გიორგი ლეონიძის ლექსს და ოდნავი დაყოვნების შემდეგ ამონმებს კლასის ემოციას, ეკითხება, მოეწონათ თუ არა ლექსი, რამდენად ეთანხმებიან ავტორს „ვეფხისტყაოსნისადმი“ ამგვარ დამოკიდებულებაში, რას განიცდიდნენ თვითონ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას/სწავლისას?

აქტივობა

- მასწავლებელი ჯგუფებად ყოფს კლასს, თითოეულ ჯგუფს აძლევს 2-2 სტროფს (IV ჯგუფს 3 სტროფი შეხვდება) და ავალებს, ამონერონ ყველა ის სიტყვა ან ფრაზა, რომელშიც ავტორი ვეფხისტყაოსანს ადარებს ამა თუ იმ საგანს, მოვლენას ან განცდას (მაგ.: ჩამოქაფული ჩანჩქერის ჟრჟოლა, დილა, ხალხის ნათელი და ა.შ.). მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რა ნიშნით ედარება „ვეფხისტყაოსანი“ თითოეულ საგანსა თუ მოვლენას.
- ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს.

20 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი რომელიმე მონაფეს აკითხებს ლექსს და გადადის კითხვარის დამუშავებაზე.

15 წუთი

საშინაო დავალება

- შინ წასაკითხად ეძლევათ სახელმძღვანელოში მოცემული გიორგი ლეონიძის მოკლე ბიოგრაფია;
- ლექსი ზეპირად დასასწავლად;
- მოიფიქრონ პასუხი სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვაზე: რა სიკეთე მოუტანია საქართველოსთვის „ვეფხისტყაოსანს“, გიორგი ლეონიძის აზრით?

გაკვეთილი II

გაკვეთილის თემა:

გიორგი ლეონიძე, „ვეფხისტყაოსანს“ (გაგრძელება)

გაკვეთილის მიზანი

- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ზეპირმეტყველების უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი მუშაობის ნახალისება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ლექსის ფორმაზე დაკვირვების უნარის განვითარება.

აქტივობები

- საშინაო დავალების შემოწმება;
- 5 წუთიანი შემოქმედებითი წერა;
- რითმის რაობა, მუშაობა რითმის ამოცნობასა და მის სახეებზე.

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო
- ბარათებზე ამონერილი სტროფები
- ფერადი მარკერები

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე — განმავითარებელი შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი კითხვების მეშვეობით გამოიკითხავს გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიას. კითხვები შეიძლება იყოს შემდეგი სახისა:
 1. სად და როდის დაიბადა გ.ლეონიძე?
 2. V კლასიდან გაიხსენეთ, როგორ იგონებს პოეტი თავის დედას. რომელ კრებულში ასახა მან ბავშვობისდროინდელი მოგონებები?
 3. რა განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად გ. ლეონიძეს, როგორც მწერალს?
 4. მწერლობის გარდა, რა იყო მისი ინტერესის საგანი, რომელი გამოკვლევების ავტორია იგი?
 5. კიდევ რა მნიშვნელოვანი ნაღვანია მის სახელთან დაკავშირებული?
 6. სადაა დაკრძალული პოეტი?

- პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სურვილისამებრ რამდენიმე მოსწავლეს ზეპირად ათქმევინებს ლექსს.
- შემდეგ მასწავლებელი გადადის რუბრიკაზე: „დამატებითი ამოცანები“. მონაფეები შინ მოფიქრებულ პასუხებს წარმოადგენენ იმის შესახებ, თუ ლექსის მიხედვით, რა სიკეთე მოუტანია საქართველოსთვის „ვეფხისტყაოსანს“.
- ამ მუშაობის შემდეგ შესაძლებელია მასწავლებელმა შესთავაზოს მონაფეებს 5 წუთიანი წერა სათაურით „ჩემი ვეფხისტყაოსანი“. ტექსტი შეიძლება დაინეროს თავისუფალი ლექსის (ვისაც სურვილი აქვს), ჩანახატის სახით და ა.შ. (ვისაც ამისი სურვილი ექნება, შეიძლება დახატოს კიდევაც).
- შემდეგ, სურვილის მიხედვით, მონაფეები წაიკითხავენ (ან გამოფენენ) ნამუშევრებს. შეფასებისას მხოლოდ პოზიტიურზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რათა მონაფეები კი არ დაბრკოლდნენ, პირიქით, სტიმული მიეცეთ, რომ შემდგომ უკეთესად წარმოაჩინონ საკუთარი თავი შემოქმედებითი უნარების განსავითარებელი სამუშაოების შესრულებისას.

20 წუთი

- მასწავლებელი კლასს კითხვებით კიდევ ერთხელ გაახსენებს განსხვავებას პროზასა და ლექსს შორის, სასურველია იმგვარი კითხვების შერჩევა, რომ მოსწავლეებმა თავად „აღმოაჩინონ“ რითმა, როგორც ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ლექსისა პროზისაგან. ვთქვათ, ასე: მასწავლებელი ხმამაღლა, გარკვევით კითხულობს სტროფს ლეონიძის ლექსიდან, აქცენტს აკეთებს სარიტმო სიტყვებზე და ეკითხება მონაფეებს:

რომელი სიტყვები გესმით დაახლოებით „ერთნაირად“?

სადაა ეს სიტყვები: სტრიქონის თავში, ბოლოში, თუ შუაში?

რა ამსგავსებს ამ სიტყვებს ერთმანეთს — ფორმა თუ შინაარსი?

შეიძლება თუ არა ასეთი სიტყვების პოვნა პროზაულ ტექსტში?

მაშასადამე, ერთ-ერთი განმასხვავებელი, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ, არის ტაქტის ბოლოს განმეორებული ერთი და იგივე ან მსგავსი ბგერები, რომელსაც **რიტმა** ეწოდება. **რიტმა** ბერძნული სიტყვაა და რიტმს, ტაქტს, ზომას ნიშნავს.

- ამგვარი მუშაობის შემდეგ მონაფეები ლეონიძის ლექსში ეძებენ სარიტმო სიტყვებს ყველა სტროფში (დავალება 1.) და ინერენ რვეულებში, შემდეგ მასწავლებელი კითხულობს: რომელი სტრიქონები ერთმეება ერთმანეთს?
- მასწავლებელი გადადის მე-2 დავალებაზე, აძებნინებს გამონაკლის სტროფს და განუმარტავს ინტერვალის და ჯვარედინი რითმის რაობას.
- მასწავლებელი ინდივიდუალურად აკითხებს სახელმძღვანელოში მოცემულ სტატიას რითმის შესახებ.

- მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ბარათებზე ამონერილ სტროფებს სხვადასხვა ლექსიდან და ავალებს, იპოვონ სარიტმო სიტყვები — იმუშაონ ფერადი მარკერებით, გაარკვიონ რიტმის სახეობა.
- მონაფეები წარმოადგენენ ნამუშევარს.

23 წუთი

საშინაო დავალება

- მასწავლებელმა კლასს დავალებად შეუძლია მისცეს:
 - ა) საყვარელი ლექსებიდან ამოიწერონ სარიტმო სიტყვები და გაარკვიონ რიტმის სახეობა, ან
 - ბ) მოიფიქრონ სარიტმო წყვილები, ვისაც შეუძლია, დაწეროს ლექსი ამ წყვილების გამოყენებით.

2 წუთი

(შენიშვნა: რიტმაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ შესაძლებელია მასწავლებელმა **შემაჯამებელი შეფასებისთვის** ბარათებზე დაწერილ სტროფებში ამოაცნობინოს რიტმის სახეობა).

გაკვეთილი III

გაკვეთილის თემა:

ნუგზარ შატაიძე, „ჩემი სოფლის სამკითხველო“

გაკვეთილის მიზანი

- ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- წერიტი უნარ-ჩვევის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- ზეპირმეტყველების უნარის განვითარება.

აქტივობები

- შესწავლილის ან წაკითხულის გახსენება;
- მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა;
- აქტიური კითხვის სტრატეგიის გამოყენებით ტექსტის კითხვა; (მეტაკოგნიტიური პაუზა);
- პრეზენტაცია;
- მოსწავლეებთან თანამშრომლობით დავალების გამოკვეთა.

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე — განმავითარებელი შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე წერს ნუგზარ შატაიძის ფრაზას, რომელიც სახელმძღვანელოში, მის ბიოგრაფიაშია მოცემული: „ჩემთვის ამბავი კი არ არის მთავარი, არამედ მარჯვედ ნაპოვნი სიტყვა და სიტყვებისგან აგებული მარჯვე წინადადება“;
- მასწავლებელი 5 წუთს აძლევს კლასს, გაიხსენონ „მარჯვედ ნაპოვნი“ სიტყვები და წინადადებები შესწავლილი ან წაკითხული ნაწარმოებებიდან. პასუხები იწერება დაფაზე და გაანალიზდება, რატომ მიაჩნიათ ესა თუ ის სიტყვა ან წინადადება „მარჯვედ ნაპოვნად“ (შესაძლებელია, პირველი მაგალითი მასწავლებელმაც მისცეს, ანუ მანაც დაწეროს თავისი ვარიანტი და გაანალიზოს);
- შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ამცნობს, რომ ამ ფრაზის ავტორი ქართველი მწერალი ნუგზარ შატაიძეა და ავალებს ინდივიდუალურად წაიკითხონ სახელმძღვანელოში მოცემული მწერლის ბიოგრაფია.
- მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა მოენონათ წაკითხულიდან, რა დაამახსოვრდებათ მწერლის შესახებ და რატომ (სასურველია, კითხვა **რატომ** ხშირად ისმებოდეს გაკვეთილებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ მოსწავლეები დასვამენ ამ კითხვას, რაც იმისი ნიშანი იქნება, რომ ისინი ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას, დამოუკიდებლად აზრის გამოხატვას, მსჯელობას);

20 წუთი

- მასწავლებელი კლასში დასვამს ტექსტის წინ წამძღვარებულ კითხვებს პასუხების მოსმენის შემდეგ;
- მასწავლებელი დაასახელებს შესასწავლი მოთხრობის სათაურს: „ჩემი სოფლის სამკითხველო“ და დასვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა იქნება ნაამბობი მოთხრობაში, გამოგონილი თუ თავს გადამხდარი ამბავი? გაიხსენეთ, რა წაიკითხეთ ბიოგრაფიაში, რაზე წერდა მწერალი.

აქტივობა 3,2,1

- მასწავლებელი ჯგუფებად ყოფს კლასს, ავალებს, ინდივიდუალურად წაიკითხონ ტექსტი;
- შემდეგ კი ჯგუფში შეთანხმდნენ და წარმოადგინონ:

3 რამ, რამაც დამაინტერესა მოთხრობაში,

2 რამ, რაზეც მინდა მეტი გავიგო,
1 რამ, რის შესახებაც დავწერდი დავალებას.

- ჯგუფები გააკეთებენ პრეზენტაციას, გაანალიზდება ყველა ნაშრომი და მოსწავლეებთან შეთანხმებით გამოიკვეთება წერიტი დავალება შინ შესასრულებლად.

23 წუთი

საშინაო დავალება

- მოთხრობა კიდევ ერთხელ ყურადღებით წასაკითხად (შესაძლოა დაევალოთ გეგმის შედგენაც);
- კლასში მოფიქრებული დავალების დაწერა.

2 წუთი

(შენიშვნა: მომდევნო გაკვეთილზე, ტექსტის გახსენების შემდეგ (რაც შეიძლება მოხდეს როგორც მოსწავლეებისგან ტექსტის მთლიანი შინაარსის გადმოცემით, ასევე ეპიზოდების შინაარსის თხრობით), დამუშავდება სახელმძღვანელოში მოცემული კითხვარი და „დამატებითი ამოცანები“. ჩვენი რჩევაა, მასწავლებელმა კლასი წაიყვანოს ბიბლიოთეკაში და უშუალოდ აჩვენოს, რაზეც საუბარია „დამატებით ამოცანებში“)

გაკვეთილი IV

გაკვეთილის თემა:

არჩილ სულაკაური, „ბიჭი და ძაღლი“ (შინაარსის გამთლიანება)

გაკვეთილის მიზანი

- ნაწარმოებში მწერლის სათქმელის ამოცნობაზე მუშაობა;
- საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ტექსტის ეპიზოდების დასათაურების უნარის განვითარება;
- შინაარსის გადმოცემის უნარის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

აქტივობები

- კითხვებზე ვრცელი პასუხების გაცემა;
- ტექსტის თემისა და დედააზრის ამოცნობა;
- ცნება **სიუჟეტის** გააზრება;
- სიუჟეტის შემადგენელი ნაწილების გამოყოფა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული) – სქემის შევსება;
- ტექსტის ეპიზოდების დასათაურება;

- შერჩეული ეპიზოდების შინაარსის ვრცლად გადმოცემა;
- წერიტი დავალების შესრულება.

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე — განმავითარებელი შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობა

- მას შემდეგ, რაც ტექსტი ნაკითხული აქვთ მოწაფეებს, მასწავლებელი შინაარსის გამთლიანებისა და ავტორის სათქმელის ამოცნობის მიზნით მოსწავლეებს ჯგუფებში ავსებინებს სქემას:

ამბის დასაწყისი	
შუა ნაწილი	
დასასრული	

- შემდეგ მასწავლებელი გადადის სახელმძღვანელოში მოცემულ ზეპირ-მეტყველების ამოცანებზე: ეპიზოდების დასათაურება და თხრობა.

10 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: რა არის მწერლის სათქმელი ამ მოთხრობაში? (ყველა პასუხი იწერება დაფაზე და გაანალიზდება, რის შედეგადაც მიდიან საერთო აზრამდე.

10 წუთი

- სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციაზე: „ამბავი და ამბის მთხრობელი“ მუშაობა შემდეგი სახით არის შესაძლებელი: მასწავლებელი წინასწარ მოფიქრებული კითხვების კლასში დასმით ამოწურავს ამ საკითხს. კითხვები შემდეგი სახისა იქნება:
 - ა. რა არის ამბავი და რას ნიშნავს ამბის თხრობა?
 - ბ. რადგან ამბავი ვინმეს თავს გადამხდარი ისტორიაა, სხვაგვარად რა შეიძლება ეწოდოს ამბავს? (თავგადასავალი)
 - გ. მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამბავი პატარაც შეიძლება იყოს და დიდიც და მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ დიდი და პატარა ამბის ნიმუშები (მოთხრობა, რომანი, იგავი). ამის შემდეგ მასწავლებელი ეტყვის კლასს, რომ ამბავს ლიტერატურ-

რაში თავისი სახელი აქვს — სიუჟეტი.

- შემდეგ იმ კითხვებს ამუშავებს კლასში, რაც მოცემულია სახელმძღვანელოში.

20 წუთი

საშინაო დავალება

- წერილობით გადმოსცენ I მონაკვეთის შინაარსი ისე, თითქოს ამას მთავარი პერსონაჟი ჰყვება.

5 წუთი

(**შენიშვნა:** მომდევნო გაკვეთილი დაეთმობა აბზაცზე მუშაობას (იხ. სახელმძღვანელო) და წერით დავალებას. სასურველია, გაკვეთილზევე შესრულდეს ეს სამუშაო, ხოლო შემდეგ შეფასდეს **შემაჯამებელი შეფასების რუბრიკებით**)

გაკვეთილი VI

გაკვეთილის თემა

ლადო ასათიანი, „ბარდნალა“, მირზა გელოვანი, „ცხრაკარა“ (ტექსტების შედარება-შეპირისპირება)

გაკვეთილის მიზანი

- ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- მუშაობა ტექსტების შედარება-შეპირისპირების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაზე;
- ტექსტებიდან ფაქტების ამოწერისა და კალსიფიცირების უნარის განვითარება;
- მეტყველების უნარ-ჩვევის განვითარება;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

აქტივობები

- მწერლის დამოკიდებულების ამოცნობა ტექსტში;
- ორი ტექსტის შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი;
- მსგავსება-განსხვავების ამოცნობა;
- მწერლის სტილის თავისებურებაზე დაკვირვება.

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე — განმავითარებელი შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი კითხვების საშუალებით კიდევ ერთხელ გაახსენებს მოწაფეებს ერთსა და იმავე თემაზე, ბავშვობის მოგონებებზე — შექმნილ ამორ ტექსტს. შესაძლოა, სურვილისამებრ, ერთ-ორ მოწაფეს წააკითხოს ლექსები — ზეპირად, ან აამბობინოს, რაზე ლაპარაკობენ პოეტები, რას იხსენებენ თავიანთი ბავშვობიდან.

15 წუთი

- მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად და სთხოვს მოწაფეებს, ამონერონ თითოეული ტექსტიდან სიტყვები და ფრაზები, რომლებშიც ჩანს, თუ კონკრეტულად რას იგონებენ ლადო და მირზა თავიანთი ბავშვობიდან. შემდეგ დაფაზე დაიხაზება სქემა და შეივსება წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით. სქემა დაახლოებით ამგვარ სახეს მიიღებს:

ლადო ასათიანი	მირზა გელოვანი
ბარდნალა, ბარდნალელების ბორანი,	ცხრაკარას ციხე, ცხრა ლოდი, ციხის დარბაზი, უენო ზარი,
ხორგო, მარანი, ჭადარი, კავი, სახნისი, თონე, ბელელი,	ბავშვობა — ლამაზი თეთრი ყვავილი
დედა, ქოთანი, გუმარეშის ყანები, თოხი, ბინული,	
ტყეები, ცხენისწყლის ნაპირი, ზამთარი, გაზაფხული,	
სარენკელას ბილიკი... გუჯუ ბატონი, ცაგერის ჭალა...	

(როგორც V კლასში, შედარება-შეპირისპირებას VI-შიც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. ამგვარი ანალიზის დროს კარგად ჩნდება ამა თუ იმ ავტორის ინდივიდუალურობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მოწაფეები დაინახავენ, რომ ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებში ერთსა და იმავე თემას სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად განიხილავენ და ხსნიან, შესაბამისად, ამ მაგალითით ნათელი ხდება მათთვის, რომ თავადაც შეიძლება სხვადასხვაგვარად

წერონ ერთსა და იმავე საკითხზე).

- ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყურადღებას მიაქცევინებს იმ ფაქტზე, რომ ამ ორი სხვადასხვა ავტორის, ტექსტის თემა ერთი და იგივეა — ბავშვობის გახსენება. მაშ რითი ჰგავს და რით განსხვავდება ეს ორი ტექსტი ერთმანეთისაგან? პასუხები ამ კითხვაზე ასევე სქემის სახით დაფაზე ჩამოინერება და გაანალიზდება, რათა გამოვლინდეს თითოეული მწერლის თავისებურებები.

25 წუთი

საშინაო დავალება

- მასწავლებელი მოწაფეებს ავალებს მომდევნო გაკვეთილისთვის შეეცადონ დანერონ, რა დაამახსოვრდებათ მათ თავიანთი ბავშვობიდან ყველაზე მეტად წლების შემდეგ (ტექსტის ტიპი შეიძლება მოწაფეებმა თვითონ აირჩიონ), დაასათაურონ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, შეუძლიათ დაურთონ ილუსტრაცია, დახატონ, რომელიმე ფოტოსურათს მიანერონ და ა.შ.

5 წუთი

(შენიშვნა: მომდევნო გაკვეთილზე სასურველია ყურადღება მიექცეს ამ ორი ლექსის შედარებას **რითმის** თვალსაზრისით).

(შენიშვნა: სწავლებისას სასურველია მასწავლებელმა მოწაფეები ხშირად დააკვიროს სამუშაო/სწავლის პროცესზე, ანუ გაანალიზებინოს, როგორ იქცეოდნენ, ვინ რა ხერხი გამოიყენა მიზნის მისაღწევად, რა გაუჭირდათ, როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს. ამგვარი მიდგომისას მოწაფეები თავადვე პოულობენ წარმატება-წარუმატებლობის მიზეზებს, სწავლობენ სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას, საკუთარ თავში ეძებენ ახალ რესურსებს, ავითარებენ საკუთარ პოტენციალს. მასწავლებელი წარმართავს ამ პროცესს, რაც თავის მხრივ, უფრო მეტ ნდობას აჩენს მასა და მოწაფეს შორის, რამდენადაც იგი ხვდება, რომ მასწავლებელს „ჩასაფრებულის“ დამოკიდებულება კი არა აქვს მის მიმართ, არამედ ეხმარება და გვერდში უდგას. ამგვარი მუშაობით მალდება მოწაფის მოტივაცია ახალი სიძნელეების გადასალახად).

VI კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი ენობრივი სავარჯიშოების პასუხები

1. როგორ შექმნა ადამიანმა დამწერლობა (გვ.9).

სახალისო საკითხავი (გვ.11):

იყო და არა იყო რა,
ადობენქი არ ისეთეკუ სითვლ

2. როგორ უღერს კუთხური მატყველება? (გვ.12).

დავლება (გვ.12): ერთი მდიდარი კაცი ყოფილა თურმე. ჰყოლია მარტო ერთი ბიჭი, მაგრამ ის ბიჭი უჭკუო, ძალიან რეგვენი ვინმე ყოფილა.

ერთ დღეს შვილი დაუბარებია და უთქვამს, რომ მზის ამოსვლამდე სამუშაოზე მივდივარ და მზის ჩასვლამდე შეუსვენებლად ვმუშაობ. შენ რომ არაფერს აკეთებ, მე რომ მოვკვდები, შენ რა ჩარა უნდა დაიყარო თავზეო (რა გეშველებო).

— შენ სიკვდილამდე შენ მარჩენ და შენი სიკვდილის მერე, რაც ქონება დაგრჩება, ის მეყოფაო, — უპასუხია შვილს.

— ეგ ერთ ნუთში გამოგელევა, შე სულელოო!

დავლება (გვ.13): ყოვებო — ყვავებო; ჩაგიგდავთ — ჩაგიგდივართ; თორო — თორემ.

3. როცა ენა დედანამოშობლოს სწყდება (გვ.14).

დავლება (გვ.15): საქართველოს ენის ფასი მე ვიცი, ამიტომ მაგ ენის შემნახველი ვარ.

სათქმელი გულში მოხარშე და მერე თქვი.

კარგი ჰქენ და ცოტა.

გადაადო უღელი, მოკვდა კურდღელი.

დღევანდელი საქმე ხვალისთვის არ გადადო.

ერთი აშენებული სოფელი სჯობს ას დანგრეულ ქალაქს.

წინა კაცი უკანა კაცის ხიდია.

4. როგორ ბაჩნდა სიტყვა (გვ.18).

სავარჯიშო (გვ.19): ბიძა კაცი; თმა ქალარა; მამა შვილი; გზა შარა; ბიძა შვილი; ენა გრძელი; ენა ტკბილი; ხმა ტკბილი; დედა მინა; მზე კაბა.

5. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა (გვ.23).

სავარჯიშო (გვ.24): გადატანითი მნიშვნელობით.

6. ომონიმაზი (გვ.25).

სავარჯიშო (გვ.26): 1. ბანი — ქართული ანბანის მეორე ასო; 2. ბანი — სახლის დატკეპნილი სახურავი; 3. ბანი — სასიმღერო ხმა; 4. ვადა — ხმლის ტარი; 5. ვადა — თარიღი, დრო; 6. ბაკი — საქონლის სადგომი; 7. ბაკი — სანვავის ჩასასხმელი სათავსო.

7. სპეციალური ლექსიკა (გვ.27).

სავარჯიშო (გვ.28): მეთუნუქე — თუნუქის სახურავს აკეთებს; დურგალი — ხის ავეჯს ამზადებს; თერძი — ტანსაცმელს კერავს; მეთუნე — თიხის ჭურჭელს აკეთებს; მეჯღანე — ძველ ფეხსაცმელებს აკერებს.

8. ვინ როგორ მეტყველებს (გვ.29).

სავარჯიშო (გვ.31): დამკვიდრებული: გრამატიკა, პროფილი, ფანტაზია, კომფორტი, გრიპი, კომპიუტერი, იმიჯი. ბარბარიზმი: ლაფატკა, გუბკა, ზმეიკა, ნასკი, გრეჩისა, სუხარი, ფეჩი, სეტკა.

9. ნივთიერებათა სახელები (გვ.34).

სავარჯიშო (გვ.36): წყლები, ზეთები, ღვინოები, თიხები, ფქვილები, მინები, ქანები. საუბარია ამ ნივთიერებათა სხვადასხვა სახეობაზე.

10. ფუძის კვება და კუმშვა (გვ.37).

სავარჯიშო (გვ.38):

სახ.	ძმა	კუთხე	ცხვარ-ი	საბძელ-ი	კოკორ-ი
მოთ.	ძმა-მ	კუთხე-მ	ცხვარ-მა	საბძელ-მა	კოკორ-მა
მიც.	ძმა-ს	კუთხე-ს	ცხვარ-ს	საბძელ-ს	კოკორ-ს
ნათ.	ძმ [■] -ის	კუთხ [■] -ის	ცხვ [■] რ-ის	საბძ [■] ლ-ის	კოკ [■] რ-ის
მოქ.	ძმ [■] -ით	კუთხ [■] -ით	ცხვ [■] რ-ით	საბძ [■] ლ-ით	კოკ [■] რ-ით
ვით.	ძმა-დ	კუთხე-დ	ცხვ [■] რ-ად	საბძ [■] ლ-ად	კოკ [■] რ-ად
წოდ.	ძმა-ვ	კუთხე-ვ	ცხვარ-ო	საბძელ-ო	კოკორ-ო

11. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა (გვ.39).

სავარჯიშო 1 (გვ.40): 1. ნადირისა; 2. ბულბულისა; 3. ვაშლითა; 4. შვილისა; 5. ავისა; 6. აივნისა.

სავარჯიშო 2: დედაბრისასა, ყანასა.

12. ჩვენი საკუთარი სახელები (გვ.41):

სავარჯიშო (გვ.42): დავითი, ნიკოლოზი, ნიკოლოზი, გიორგი, გიორგი, გრიგოლი, ალექსანდრე, ვასილი, ალექსანდრე, ნატალია, ეკატერინე, სალომე, ქეთევანი, ეკატერინე, მარიამი, მანანა, თამარი.

13. საკუთარი სახელების ბრუნება (გვ.43).

სავარჯიშო (გვ.44):

სახ.	ანზორ-ი	ეთერ-ი	დაჩი	მერაბ-ი
მოთ.	ანზორ-მა	ეთერ-მა	დაჩი-მ	მერაბ-მა
მიც.	ანზორ-ს	ეთერ-ს	დაჩი-ს	მერაბ-ს
ნათ.	ანზორ-ის	ეთერ-ის	დაჩი-ს (ა)	მერაბ-ის
მოქ.	ანზორ-ით	ეთერ-ით	დაჩი-თი	მერაბ-ით
ვით.	ანზორ-ად	ეთერ-ად	დაჩი-დ	მერაბ-ად
წოდ.	ანზორ	ეთერ	დაჩი	მერაბ

14. ზედსართავი სახელის ორი ჯგუფი (გვ.47).

სავარჯიშო: 1. მშვენიერი (წარ.); 2. განიერი (წარ.); 3. ჩამწკრივებული (წარ.), დიდრონი (წარ.), დამკრახული (წარ.), დაბრანული (წარ.); 4. პატარა (მარტ.); 5. სახელოვანი (წარ.), სპარსული (წარმ); 6. მთელი (მარტ.), თეთრი (მარტ.); 7. სამაგალითო (წარ.); 8. ამაყი, მამაცი (მარტ.); 9. მამობრივი (წარ.); 10. საარაკო (წარ.); 11. საუკეთესო (წარ.); 12. ვეებერთელა (წარმ), ბაჯაღლო (მარტ.); 13. სადიდებელი (წარ.); 14. საშინელი (წარ.).

15. ზედსართავის ხარისხები (გვ.49).

სავარჯიშო 1 (გვ.50): წვრილი ბანარი; მსხვილი თოკი; უმსხვილესი ბაგირი.

სავარჯიშო 2 (გვ.50): 1. თეთრი — უთეთრესი; 2. ბედნიერი — უბედნიერესი; უტკბესი — ტკბილი; 3. ძლიერი — უძლიერესი; 4. ცუდი — უცუდესი; 5. შავი — უშავესი; 6. გულითადი — უგულითადესი, ძვირფასი — უძვირფასესი.

16. რიცხვითი სახელის სამი სახეობა (გვ.51).

სავარჯიშო (გვ.51): მეოთხე, მეოთხედი; მეექვსე, მეექვსედი; მეთორმეტე, მეთორმეტედი; მესამოცე, მესამოცედი; მეხუთასე, მეხუთასედი.

ამოცანა: რაოდენობითი, მეცხრამეტე.

17. რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად (გვ.53).

სახლისო ამოცანა (გვ.54). ბევრი, მრავალი, ზოგიერთი, არაერთი, ცოტა — განუსაზღვრელი; ორი, ერთი — განსაზღვრული. მხოლობითის ფორმით.

18. რიცხვითი სახელების მართლწერა (გვ.55).

კვიმატი კითხვები(57); ერთი და იმავე რაოდენობას გამოხატავენ; სხვადასხვა ბრუნვაში დგანან.

სავარჯიშო 1: ას ხუთი, სამოცდამეხუთე, ათასმეორე, სამას ოცდათორმეტი, ცხრაასმეხუთე, მეათასე.

სავარჯიშო 2: მე-14, 39-ე, მე-40, 105-ე, 1001-ე, 1506-ე.

19. კითხვითი ნაცვალსახელი (გვ.58).

სავარჯიშო 1: ნათ.; მოთ.; მიც.; სახ.; ნათ.

სავარჯიშო 2: სახ.; სახ.; ნათ. — ვაჟა-ფშაველა. მოთ.; მოთ.; მოთ. — სიმონ ჩიქოვანი.

20. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი (გვ.60).

სავარჯიშო (გვ.61): განსაზღვრული: ყველა, თითოეულ, თვითონ, ყველაფერი. განუსაზღვრელი: ვილაცამ, რაღაცის, ზოგი, რომელიმე.

21. განსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (გვ.62).

სავარჯიშო (გვ.63).

სახ.	რაღაც	აზრ-ი	ზოგიერთ-ი	მეგობარ-ი
მოთ.	რაღაც	აზრ-მა	ზოგიერთ-მა	მეგობარ-მა
მიც.	რაღაც	აზრ-ს	ზოგიერთ	მეგობარ-ს
ნათ.	რაღაც	აზრ-ის	ზოგიერთი	მეგობრ-ის
მოქ.	რაღაც	აზრ-ით	ზოგიერთი	მეგობრ-ით
ვით.	რაღაც	აზრ-ად	ზოგიერთ	მეგობრ-ად

22. ზმნის ცვლა პირების მიხედვით (გვ.66).

სავარჯიშო 1 (გვ.67): რგავ, რგავს; ვხნავ, ხნავ; წერ, წერს; ვზრდი, ზრდის; ვთლი, თლი; ვრჩები, რჩება; არღვევ, არღვევს; ვხსნი, ხსნის; ვარ, ხარ.

სავარჯიშო 2 (გვ.67): 1. დავუხვდი; 2. წამოვვარდი; 3. ვუგდე; 4. გადავუხვი; 5. ჩამოვუარე; 6. ვვარჯიშობ; 7. ვოცნებობდი.

23. ზმნისწინი (გვ.70).

სავარჯიშო 1 (გვ. 71): მიაქვს; მოაქვს; ააქვს; ჩამოაქვს; ჩააქვს; ამოაქვს; გადააქვს; გადმოაქვს; გამოაქვს; გააქვს; შემოაქვს; შეაქვს.

სავარჯიშო 2 (გვ.71): 1. ზემოდან - აქეთ; ქვემოდან — იქით; 2. იქიდან-აქეთ; 3. ზემოდან — აქეთ; 4. ქვემოდან — იქით; ზემოდან — იქით.

24. ზმნის კილო (გვ. 72).

სავარჯიშო 1 (გვ.73): თხრობითია: ნადირობს, აქებს, დაბარა; კავშირებითია: დავრგო, გამოჰქონდეს, ნახდებოდა, ითამაშოს.

25. ზმნის ასპექტი (გვ. 74).

სავარჯიშო 1 (გვ.75): გამოცანა ოთხი სიტყვისგან შედგება, მათ შორის სამი ზმნაა. ეს ზმნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზმნისწინით. **ვაშრე** დაწყებული, მაგრამ არდასრულებულ მოქმედებას გამოხატავს. **დავაშრე** — უკვე დასრულებულ მოქმედებას.

სავარჯიშო 2: გადასნია, შეიპატიჟა, გადააბა, დააფარა — სრული ასპექტის; ხერხა, ახმო — უსრული ასპექტის.

გებრალეობდეს, ნუ ჰრისხავ, უფარე, ასმევდე — უსრული ასპექტი.

შეიბრალე, ნუ შერისხავ, ააფარე, დააღვეინე — სრული ასპექტი.

26. უღლება (გვ.76).

სავარჯიშო (გვ.78):

ნერს	ხატავს	აშენებს
ნერდა	ხატავდა	აშენებდა
ნერდეს	ხატავდეს	აშენებდეს
დანერს	დახატავს	ააშენებს
დანერდა	დახატავდა	ააშენებდა
დანერდეს	დახატავდეს	ააშენებდეს
დანერა	დახატა	ააშენა
დანეროს	დახატოს	ააშენოს
დაუნერია	დაუხატავს	აუშენებია
დაენერა	დაეხატა	აეშენებინა
დაენეროს	დაეხატოს	აეშენებინოს

27. სიმრავლის თავისებური გამოხატვა (გვ.79).

სავარჯიშო 1 (გვ.79): 1. დასახოცები; 2. დამსხდარიყვნენ; 3. სხედან; 4. წამოცვივდებოდნენ; 5. დაგვსხამდნენ; 6. მისცვივდა.

სავარჯიშო 2 (გვ.80); კაკალს (კრებიითი); ფეხსაცმელი (კრებიითი); თხილს (კრებიითი); ცხვარს (კრებიითი); იხვი (კრებიითი).

28. კუთვნილების გამოხატვა ზმნაში (გვ.81).

სავარჯიშო (გვ.82): დამიგროვო, შემოვუსხედით, დამახვედრო, მომიკრიფონ, შემივარდა, მომისმინა, გაგვიშლიდნენ.

29. საწყისი და მიმღეობა (გვ. 83).

სავარჯიშო 1 (გვ.80): წერს, ხატავს, აშენებს; კერვა, ბერვა, ჭამა.

სავარჯიშო 2 (გვ.80): გამჭრელი — გაჭრილი; გამთხრელი — გათხრილი; დამხაზველი — დახაზული; დამრღვევი — დარღვეული; მომრგები — მორგებული; გამცლელი - გაცლილი.

30. ზმნა და წინადადება (გვ.86).

სავარჯიშო 2 (გვ.87): 1. გადააწყდა; 2. ჰქონდა; 3. დაამწუხრა; 4. დაუმალა; 5. დაბრუნდა; 6. გასცა; 7. დაარქვეს; 8. უთხრა; 9. დაამწუხრა; 10. აუშენეს; 11. ზმნა არ არის; 12. ზმნა არ არის.

31. წინადადების მთავარი და არამთავარი ნაწილები (გვ.88)

სავარჯიშო 1 (გვ.89): 1. ნაგაზი <= მურა; ჩაუარა <=ძუნძულით; ბიჭი<= პატარა.

2. ბიჭი<= პატარა; მეტოქეები<= გაქცეულ; თვალი გააყოლა <= ჩუმად.

3. ძალი — შეშინებული; უცდიდა — სკოლის ეზოში; ბიჭს — პატარა.

4. ბიჭი <= გაბრაზებული; მეტოქე <= თავხედი; ხელები <=გაშლილი; აძგერა <=მკერდში.

32. შესიტყვება და წინადადება (გვ.90).

სავარჯიშო (გვ.91): 1. შურს დაეპყრო, დაეპყრო გული; 2. ჩიკოტელას აღიზიანებდა, აღიზიანებდა მეზობელი; 3. მეციხოვნეებმა ხელი გაუშვეს, ბიჭს ხელი გაუშვეს; 4. მეციხოვნემ მიაწოდა, ბიჭს მიაწოდა, ქუდი მიაწოდა; 5. გაისწორა ბიჭმა, გაისწორა შარვალი; 6. ხელის ზურგი აისვა, მოხუცმა მეფემ ხელის ზურგი აისვა.

33. ზმნა და მოქმედების გარემოებანი (გვ. 92).

სავარჯიშო 2 (გვ.94): 1. რატომ? მიზეზის გარემოება; 2. რისთვის? მიზნის გარემოება; 3. რისთვის? მიზნის გარემოება; 4. რატომ? მიზეზის გარემოება; 5. რისთვის? მიზნის გარემოება; 6. რატომ? მიზეზის გარემოება.

სავარჯიშო 3 (გვ.94): 1. როდის? — დღისით, ღამე; როგორ? — კარგად; 2. როდის? — ერთხელ; როგორ? — ძვირად; 3. როდის? — დღედაღამ; როგორ? — ისე; 4. საითკენ? — შინისაკენ; 5. საიდან სადამდე? — თავიდან ფეხებამდე; 6. სად? — გვერდით; როდის? — ერთხელ; როგორ? — თავისებურად; 7. როდიდან? — იმ დღიდან; 8. როგორ? — ავად.

34. რთული წინადადება და მისი სახეები (გვ. 95).

სავარჯიშო 1 (გვ.96): ორღობეში სტვენა გაისმა და მეზობელი გარეთ გამოვარდა; როცა ორღობეში სტვენა გაისმა, მეზობელი გარეთ გამოვარდა.

სავარჯიშო 2 (გვ.96): დინჯი ნაბიჯი ჰქონდა; დაძაბული სხეული ჰქონდა; მიხრა-მოხრა მკვირცხლი ჰქონდა; კილო მბრძანებელი ჰქონდა; აზრი ფხიზელი ჰქონდა.

35. წევრთა „გადაქანლი“ ქვეწყობილ წინადადებაში (გვ.97).

სავარჯიშო (გვ.98): 1. ვინც — იმან; 2. ვინც — ყველა; 3. ვინც — იმას; 4. ისეთი — როგორიც; 5. ვინც — ის; 6. ვინც — ის; 7. რასაც — ის; 8. როგორი — ისეთი.

36. იქ — სადაც (გვ.99).

სავარჯიშო (გვ.100): იქ.

37. მაშინ — როცა (გვ. 10).

სავარჯიშო (გვ.102): 1. როდესაც — მაშინ; 2. მაშინ — როდესაც; 3. როცა — მაშინ; 4. მაშინ — როცა; 5. როდესაც — მაშინვე.

38. ისე — როგორც; ისე — თითქოს (გვ.103).

სავარჯიშო (გვ.104): 1. ისტორიული სიტყვით ისე მიმართა თავის ხალხს, როგორც ტომის ბელადებს სჩვევიათ ხოლმე; 2. ქართველობაც ისევე მიიჩნევდა მუხას საღვთო ხედ, როგორც ბევრი სხვა ხალხი.

39. იმიტომ — რომ; იმისთვის — რომ (გვ. 105).

სავარჯიშო (გვ.106): 1. იმიტომ — რომ; 2. იმისთვის — რომ; 3. იმიტომ — რომ; 4. იმისთვის — რომ; 5. იმისთვის — რომ.

მოსწავლის რვეულში შეტანილი ენობრივი სავარჯიშოების პასუხები

1. როცა ენა დედანამოზღოს სწყდება (გვ.8).

სავარჯიშო 1: ზე — რძე; ბერ — ბებერი; ემამ — მან; მონელისყე — მონველავე-
და ხოლმე; იმიშინ — მაშინ; შაიდ — შევიდა; თქისყე — იტყოდა ხოლმე; ლევავე-
სო — სვამსო; ქობზე — ქვაბზე; მაივარდა — მოსძვრა; ეხენა — ეხვენა; წოოლო
— წავულო; მამე — მომეცი; დოოყარო — დავუყარო.

სავარჯიშო 2: 1. გულმავინყი; 2. კისრისტეხით; 3. თავდადებით.

2. როგორ გაჩნდა სიტყვა? (გვ.9).

სავარჯიშო 1: თვალწარბი; ყურგრძელი; თვალდაჭყეტილი; ყურცქვიტა;
ყურპანტურა; თვალახვეული.

სავარჯიშო 2: სახელები: მღვდელი, ხალხი, ბუზივით, მის, პასუხს, გულიანი,
ერისა, იმის, პირიდან, ოქრო, ხელიდან, სიკეთე, კაცს, სიყვარულით, ხალხი, ის,
კაციც, ქუდიც, იმას, კაი, კაცსაც, თაფლი. დიდი, პატარა, ბუზივით, დედამინის
ზურგს, იმისთანა, კაცს, წყალი, სიტყვების, თავი, პატარა, ბიჭი.

ზმნები: იდგა, ირეოდა, ელაპარაკებოდა, პასუხს აძლევდა, ეხუმრებოდა,
გაეხუმრებოდა, შესცქეროდა, დაჯერებულა, გადმოვარდება, შიშობს, წა-
მივიდესო, დაეთესოს, არტყია, არის, ხურავს, აცხია, ეხვევა, უტარებია, მოს-
წყურდება, მომწყურდა, გაგება, გადავიხარე, დამენახა, გამეგო, ედგა.

დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე: და, კიდევ, და, არ, და, არ, რომ,
რომ, და.

3. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები (გვ.11).

სავარჯიშო 1: სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიაო. მოხუცმა ძალღს
თავზე გადაუსვა ხელი.

2. ვით მარმარილო, შორს თეთრად მოჩანან მთის თავები. სვაგი იჯდა კლდის
თავზე.

3. გუშინ მოვხადე თავი ჭურს. კასრის თავზე შემომჯდარ მეთულუხჩეს...

4. ამ სიტყვებს შენ მოგიძღვნი, უსტაბაშო, ამქრის თავო!

5. ... წიგნის მეოთხე თავშია მოთხრობილი.

სავარჯიშო 2: თავდახურული, თავახდილი, თავებად დაყოფილი.

4. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა (გვ.13).

სავარჯიშო 1: პირდაპირი მნიშვნელობით: მოსწყურდება, კითხვა, თაფლი,
აცხია, ბუზივით, ეხვევა; **გადატანითი მნიშვნელობით:** მომწყურდა, დაეთე-
სოს, ცეცხლი, ყდა, ვკითხულობთ, არტყია.

სავარჯიშო 2: პირდაპირი მნიშვნელობით: გიმწარებენ, გამოჩნდა, ქვეყ-

ნად, მოხუცი, მტრებს, გული, სიკეთე, დაჰგმობენ; **გადატანითი მნიშვნელობით:** გიშვერენ, გამოაღვიძა, ობოლი, გარემოცული, მიტკბება, ძალი, ტკბილი, მწყურია, მოიმკი.

5. ომონიგაპი (გვ.15).

სავარჯიშო 1: ხერხი(1). მამალს ხერხივით ბიბილო შუბლზე გამოეჭიმა. ხერხი ბლავგი გამოდგა და გაგვტანჯა. ბირდაბირ ხერხს ორი კაცის ხელი უნდა.

ხერხი (2). ისევ ხერხით როგორმე თუ შევძლებთ მაგ მძიმე საქმესაო. თუ ხერხი არ იცი, ხერხვაც გაგიჭირდება.

სავარჯიშო 2: ა) მძიმე; ბ) ლომი; გ) ჯამი; დ) ბალი.

სავარჯიშო 3. ბარი, ბარი.

6. სპეციალური ლექსიკა (გვ.17).

სავარჯიშო 1: დარგი: მედიცინა. ტერმინები: შპრიცი, ფონენდოსკოპი, თერმომეტრი;

დარგი: თეატრი. ტერმინები: ნიღბები (ტრაგედია და კომედია), მაყურებელი, სცენა;

დარგი: მათემატიკა. ტერმინები: განტოლება, შეკრება, გამოკლება, ტოლობა, გაყოფა, გამრავლება, ფარგალი, სახაზავი, კალკულატორი.

სავარჯიშო 2: ა) წარდგენა; ბ) შეტყობინება; გ) ფურცელი; დ) დაფაზე სანერი; ე) პროგრამის დაყენება.

7. ვინ როგორ მეტყველებს (გვ.19).

სავარჯიშო 1: 1. ტყუილად იფიქრა ბესარიონმა ჩემი მოტყუება. 2. მოიტანე, მელანო, ჩხირი იქნება რამე. 3. როგორ მთლად დედამისს დამსგავსებია ეს ბავშვი! 4. გამაბეს მახეში და ეგ არის! 5. მეშინია, ქვეყნის სალაპარაკო არ გავხდემეთქი.

სავარჯიშო 2:

— ონკანი არ იკეტება, სულ წვეთავს, წყალს წნევა არა აქვსო.

— სანტექნიკოსს გამოვიძახებ.

— ყველაფერი მოშლილია, ჩამკეტი გამოსაცვლელია, მილაკებიც აღარ ივარგებს, ონკანიც ახალი აჯობებს; თუ ფული გაქვთ, ბარემ ნიჟარასაც ჟანგი მოსდებია და ისიც შეცვალეთ, უჟანგავი იყიდეთ; ონკანები რუსული უფრო საიმედოა, ხომ იცი, შემრევი უნდა იყოსო.

8. ნივთიერებათა სახელები (გვ.21).

სავარჯიშო: წყალი, მინა, ჰაერი, რკინა, ნისლი, აყალო, ტალახი, თოვლი, მტვერი, ღვინო, ყინული, თრთვილი, ნავთი, ფქვილი.

9. ფუძის კვეცა და კუმშვა (გვ. 22).

სავარჯიშო 1:

რკო	მზე	გზა	მამალი-ი
რკო-მ	მზე-მ	გზა-მ	მამალ-მა
რკო-ს	მზე-ს	გზა-ს	მამალ-ს
რკო-ს(ი)	მზ-ის	გზ-ის	მამლ-ის
რკო-თი	მზ-ით	გზ-ით	მამლ-ით
რკო-დ	მზე-დ	გზა-დ	მამლ-ად
რკო-ვ	მზე-ო	გზა-ვ	მამალ-ო

სავარჯიშო 2: უკვეცელი: წერო, დრო, რუ; **კვეცადი:** საქმე, ნება, ღობე, ყურე, ქალა, ჩალა, მზე, დელე, კაბა, მეფე, ბაგე, პოემა.

სავარჯიშო 3: უკუმშველი: ედემი, ბარი, ფანდური, ქალი, ანბანი; **კუმშვადი:** რძალი, მომავალი, ლამპარი, ჯვარი, მღვდელი, მტერი, საბძელი.

10. ბრუნვის ნიშნის გავრცობა (გვ.24).

სავარჯიშო 1: ჩანთითა, ატმებსა, ქინქლებისა, სულდგმულისა, პირველსავე, ბუნებასაც, მასავით, მეგობარსაო, ძველსა გზასა, მეგობარსა, ცასაც, დაკლაკნილსა.

სავარჯიშო 2: 1. ვერხვებისა; 2. შხამსა; 3. გულსა; 4. მრიცხველისა. 5. რეგისტრაციასა.

სავარჯიშო 3: ნათქვამსა, კბენასა, ზენასა.

11. საკუთარი სახელაზის ბრუნება/გვარისა და სახელის ერთად ბრუნება (გვ.26).

სავარჯიშო 1: 1. გურამს; 3. თამაზმა; 5. მერაბ! 8. მალხაზთან; 9. ეთერს; 10. თამაზამდე.

12. ზედსართავის ხარისხები (გვ.28).

სავარჯიშო 1: უთეთრესი — მოთეთრო; უშავესი — მოშავო; უმჟავესი — მომჟავო; უმაღლესი — მომაღლო; უმწვანესი — მომწვანო; უდიდესი — მოდიდო; უწვრილესი — მოწვრილო; უდაბლესი — მოდაბლო.

სავარჯიშო 2: 1. უღონიერესი, უსწრაფესი; უმოქნილესი 2. უმაღლესი, მომაღლო; 3. უდიდესი, მოდიდო; უშავესი, მოშავო. 4. უჭრელესი, მოჭრელო; უდაბლესი, მოდაბლო. 5. დიდი, მოდიდო.

13. რიცხვითი სახელის სამი სახეობა (გვ.30).

სავარჯიშო 1:

სამ-მა	რვა-მ	ოცდაშვიდ-მა	მეცხე-მ
სამ-ს	რვა-ს	ოცდაშვიდ-ს	მეცხრე-ს
სამ-ის	რვ-ის	ოცდაშვიდ-ის	მეცხრ-ის
სამ-ით	რვ-ით	ოცდაშვიდ-ით	მეცხრ-ით
სამ-ად	რვა-დ	ოცდაშვიდ-ად	მეცხრე-დ
სამ-ო	რვა-ვ	ოცდაშვიდ-ო	მეცხრე-ვ

სამ-მა	ძმა-მ	თორმეტ-მა	მოციქულ-მა	მეექვსე	კლას-მა
სამ	ძმა-ს	თორმეტ	მოციქულ-ს	მეექვსე	კლას-ს
სამ-ი	ძმ-ის	თორმეტ-ი	მოციქულ-ის	მეექვსე	კლას-ის
სამ-ი	ძმ-ით	თორმეტი	მოციქულ-ით	მეექვსე	კლას-ით
სამ	ძმა-დ	თორმეტ	მოციქულ-ად	მეექვსე	კლას-ად
სამ-ო	ძმა-ო	თორმეტ-ო	მოციქულ-ო	მეექვსე	კლას-ო

14. რიცხვით სახელთა მართლწერა (გვ.32).

სავარჯიშო 1: ას ხუთი, სამოცდამეხუთე, ასმეორე, სამას ოცდათორმეტი, ცხრაასმეხუთე, მეასე, ორ-ნახევარი.

სავარჯიშო 2: მე-12, 39-ე, მე-40, 105-ე, 1001-ე, 1506-ე.

სავარჯიშო 3: 1. ბევრი მეგობარი; 2. ცხრა ძმა ხერხეულიძე; 3. ამდენი ტყუილი; 4. ათასი მტრის; 5. მრავალი წლის; 6. სამი ძმის; 7. ამდენი თვალის. 8. ასი მთის.

15. კითხვითი ნაცვალსახელი (გვ.34).

სავარჯიშო 1: 1. ვინ შეცვივდა; 2. ვინ იყო ჩაცვენილი; 3. რას აკლებდა; 4. ვინ ვის უზრდიდა; 5. ვისთვის იყო; 6. ვინ წავიდა; 7. რამ რას გაუმართა ომი.

სავარჯიშო 2: 1. ნათ. ბრ. 2. მოთხ. ბრ. 3. მიც. ბრ. 4. სახ. ბრ. 5. ნათ. ბრ. 6. სახ.და მიც. ბრ.

16. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი (გვ.36).

სავარჯიშო 1: 1. ყოველი; 2. თითოეული; 3. ყოველი; 4. ყველა; 5. ყველა; 6. ყოველი; 7. ყველა; 8. თითოეულ.

სავარჯიშო 2: 1. თავად; 2. თვით; 3. თვითონ; 4. თვით; 5. თავად; 6. თვითონ; 7. თვით.

17. ზმნის ცვლა პირების მიხედვით (გვ.40).

სავარჯიშო 1: I-მე; III-ის; III-ის; II-შენ; I-მე; III-ის; III-ის; I-მე; III-ის; III-ის.

სავარჯიშო 2: რგავ,რგავ-ს, ვ-რგავ-თ, რგავ-თ, რგავ-ენ; გრეხ, გრეხ-ს, ვ-გრეხ-თ, გრეხ-თ, გრეხ-ენ.

სავარჯიშო 3: დავმალავ, დამალავ, დამალავს, დავმალავთ, დამალავთ, დამალავენ; ვიტყვი, იტყვი, იტყვის, ვიტყვით, იტყვით, იტყვიან;

ვთხარე, თხარე, თხარა, ვთხარეთ, თხარეთ, თხარეს; გამოვთხარე, გამოთხარე, გამოთხარა, გამოვთხარეთ, გამოთხარეთ, გამოთხარეს;

გავხტი, გახტი, გახტა, გავხტით, გახტით, გახტნენ; გავყევი, გაჰყევი, გაჰყვა, გავყევით, გაჰყევით, გაჰყვნენ.

18. ზმნა და მოქმედების დრო (გვ.42).

სავარჯიშო 2: 1. ბრძანა; 2. მოახსენა; 3. ამოღერდა; 4. იკითხა; 5. მოახსენა; 6. მიმართა; 7. მეცა პირში; 8. მითხარითო; 9. თქვიო.

19. ზმნისწინი (გვ.44).

სავარჯიშო 1: მიჰყავს, მოჰყავს, აჰყავს, ჩამოჰყავს, ჩაჰყავს, ამოჰყავს, გადაჰყავს, გადმოჰყავს, გამოჰყავს, ჰყავს, შემოჰყავს, შეჰყავს.

სავარჯიშო 2: გადაფიქტა, „ფიქტებმა დაფარა“; დაბარავს, „ბარით დაამუშავებს მინას“; დატვირთავს, „ტვირთს აჰკიდებს“; განასკვავს, „ნასკვს შეკრავს“; ხერხავს, „ხერხით ამუშავებს“.

20. უღლება (გვ.44).

სავარჯიშო 1: დაუთესავს (წარსული); დათესა (წრსული), თესავდა (წარსული), თესავს (ანმყო), დათესავს (მომავალი).

21. სიმრავლის თავისებური გამონათვა (გვ.48).

სავარჯიშო 1: გამოვარდა; ჩავჯექი; მოსულა, შემოგვივარდეს; მივარდა; მოუკლა; მიუჯდებოდა; რომელზედაც სხედან.

სავარჯიშო 2: აზია, ასხია, ჩამოვარდა, ჩამოცვივდა, ააცვა, აასხა, დევს, აწყვია.

22. კუთვნილების გამოსატყვევებელი ზომები (გვ.50).

სავარჯიშო 1: 1. მიგიხედავს; 2. ჩაუსახლდა; 3. დამიფასებს; 4. მოგვიგვარებს; 5. გაუხარებ; 6. გაგიკეთებთ.

სავარჯიშო 2: გვიხარებს გულს; გვიხალისებს განწყობას; გვიტკბობს სმენას; გვიიმედებს გულს; გვიღალღებს გულს; განგიმტკიცებთ რწმენას; მიძლიერებს სულისკვეთებას.

23. საწყისი და მიმდინარეობა (გვ.52).

სავარჯიშო 1: კრეფა, ჭრა, თლა, ხვრება, კვრა, ძვრა, ჭამა, სხვლა, თქვლეფა, ცემა, თვლემა, ჩაცმა.

სავარჯიშო 2: შეაშინებს, მოიწყენს, დაბრკოლდება, დაარიგებს, ნააქცევს, შეკრთება, დაიქანცება, დაარიცხავს, სწავლობს, შეჰპირდება, გაცვლის, გადათვლის.

სავარჯიშო 3: დამლაგებელი — დალაგებული; დამთვლელი — დათვლილი; შემცვლელი — შეცვლილი; გადამცემი — გადაცემული; წამრთმევი — წართმეული; შემმატებელი — შემატებული; ჩამნიშნავი — ჩანიშნული.

24. წინადადების მთავარი და არამთავარი ნაწილები (გვ.56).

სავარჯიშო 1: ა) ზმნა: გადადგა; მთ. ნევრები: ბიჭმა, ნაბიჯი; არამთ. ნევრები: ორიოდ, ძალისკენ.

ბ) ზმნა: შთანთქა; მთ. ნევრები: ძალმა, პური; არამთ. ნევრები: ცხელი, სწრაფად.

გ) ზმნა: შეამწყვდია; მთ. ნევრები: ბიჭმა, ნაგაზი; არამთ. ნევრები: თავისი, სარდაფში.

დ) ზმნა: მიქროდნენ; მთ. ნევრები: ცხენები; არამთ. ნევრები: გახელებული, ქვაფენილზე.

ე) ზმნა: გამოცვივდნენ; მთ. ნევრები: მეზობლები; არამთ. ნევრები: ხმაურზე, ეზოში.

ვ) ზმნა: სანსლავდა; მთ. ნევრები: ძალღი, სალაფავს; არამთ. ნევრები: თავაულებლად.

25. შესიტყვება და წინადადება (გვ.58).

სავარჯიშო 1: 1. ელგუჯამ ამოიღო; შურდული ამოიღო; ჯიბიდან ამოიღო. 2. ჭიჭომ დაუდო; შეშა დაუდო; ორთვალაზე დაუდო. 3. ორთვალა დაიძრა; უხმოდ დაიძრა. 4. ბიჭებმა ჩაუყარეს; ჯულას ჩაუყარეს; თივა ჩაუყარეს; ხელნებშუა ჩაუყარეს. 5. მეტყევეებს დაეკეტათ; ბუდრუგანა დაეკეტათ; თავიანთი ბუდრუგანა.

სავარჯიშო 2: ჩემმა დამ დილით ორი პატარა ყვავილი დარგო. უმცროსს შვილს მამამ გუშინ ახალი ბურთი უყიდა. გახარებული გოგონები გაფაციცებით

შეპყურებდნენ დაბრუნებულ მამას. შემკრთალმა ირემმა წყალს სველი დრუნჩი მიუახლოვა. ქოჩორა ბიჭს ახლა ხელში ბურთი ეჭირა.

26. ზმნა და მოქმედების გარემოებანი (გვ.60).

სავარჯიშო 1: სად? — მიდიან სადღაც. (ერთ) ადგილას დგანან. როდის? — ვერასოდეს ვალწევ. დილაადრიანად ატყდა. როგორ? — ძალიან უყვარდა. ქრი-ალით მისდევენ. რატომ? — შიშისაგან მორთეს (ტირილი). რისთვის? — გამორ-ბოდნენ სანახავად. სადღესასწაულოდ ემზადებოდა.

27. რთული წინადადება და მისი სახეები (გვ.62).

სავარჯიშო 1: ხალხი მომხდარმა წააქეზა და მხიარულება ცოტა ხანში გა-ნახლდა; ხალხი მომხდარმა წააქეზა, ხოლო... ხალხი მომხდარმა წააქეზა, მაგ-რამ.... ხალხი მომხდარმა წააქეზა, ანუ... ხალხი მომხდარმა წააქეზა, ე. ი...

სავარჯიშო 2: როგორ? — ამ სიტყვებმა ისე ამიტაცეს, რომ თავი ველარ შე-ვიკავე.

რატომ? — იხვები გუნდ-გუნდად აიშალნენ წყლიდან, რადგან ტბაზე თოფის ქუხილმა გადაიარა.

სად? — გოგონამ შიშით მიიხედა ტყისკენ, საიდანაც მხოლოდ ხმაური ისმო-და.

როდის? — როდესაც ბიჭმა გული მოიჯერა სალამურის დაკვრით, საკრავი გულის ჯიბეში ჩაიდო.

რისთვის? — ქრისტინე გაიქცა მეზობელთან, რათა ახალი ამბავი მალე მი-ეტანა მისთვის.

სავარჯიშო 3: 1. კარზე კაკუნი გაისმა და ბავშვი ჭუჭრუტანას მივარდა. 2. და-რაჯს მაგრად ეძინა, ზარბაზნის ხმა ვერ გააღვიძებდა. 3. მეგობარს ჩანაფიქრს ვუყვებოდი და მათემაც მოაღწია ჩვენამდე. 4. მატარებელმა ჩაიარა და მგზა-ვრებმა ცხვირსახოცები ააფრიალეს.

28. იმიტომ — რომ; იმისთვის — რომ/რათა (გვ.69).

სავარჯიშო 1: 1. რატომ? 2. რისთვის? 3. რისთვის? 4. რატომ? 5. რისთვის?

სავარჯიშო 2: 1. უკან იმიტომ არ მომიხედავს, რომ ვტიროდი; 2. ყველას უყვარდა ვერხვი იმიტომ, რომ მოხერხებულ.... 3. მეც გული გავიმაგრე იმიტომ, რომ.... 4. მე ახალ გაზეთს ვუკითხავდი იმიტომ, რომ სათვალე დაჰკარგოდა;

5. იქაურობას გაეცალა, რათა გულიდან დარდი გადაეყარა.

მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები; თბილისი, 2008.
2. სწავლება და შეფასება; თბილისი, 2008.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო; თბილისი, 2008.
4. დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა;
http://www.tpdc.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka
5. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; 2007.
6. ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება; 2009.
7. როგორ ვასწავლოთ აზროვნება; 2008.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; 2008.
9. რობერტ ჯ. მარზანო და სხვ., ეფექტური სწავლება სკოლაში; 2009.
10. მასწავლებლის წიგნი — ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში, მაია ფირჩხაძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბერაშვილი, რუსუდან თედორაძე, სოფიკო ლობჯანიძე, 2017. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34&პაგედ=2.
11. მასწავლებლის წიგნი — განათლების დანყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, ანა ჯანელიძე, ვიოლეტა კვირიკაშვილი, ნინო ლაბარტყავა, ქეთევან ქობალია, 2015. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34&პაგედ=2.
12. კითხვის ეფექტური მეთოდები 2 (სასწავლო მეთოდური ფილმი და მისი გზამკვლევი), 2015. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34&პაგედ=2.
13. მასწავლებლის წიგნი — შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი, შიდა სასკოლო, გიორგი ნოზაძე, თამთა კობახიძე, მაია ინასარიძე, მანანა ბოჭორიშვილი, 2017. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34
14. მასწავლებლის წიგნი — გამჭოლი კომპეტენციები, თამარ მოსიაშვილი, მაია ბლიაძე, მანანა რატიანი, მანანა სეხნიაშვილი, ნატო ინგოროყვა, ცირა ბარბაქაძე, 2017. მასტსავლებელი.გე/?ცატ=34
15. როგორ ვასწავლოთ კითხვა, დანყებითი კლასების პედაგოგებისათვის, ნათელა იმედაძე, დალი ფარჯანაძე, მარიამ მირიანაშვილი, 2010. გამომცდების ეროვნული ცენტრი.
16. დანყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, 2010. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
17. ქართული ენა და ლიტერატურა, I-IV კლასები, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, თამარ ჯაყელი, ირინა სამსონია, ნინო დობორჯგინიძე, თინათინ ცერაძე, ქეთევან თოფაძე, მაია ინასარიძე, მაია ლორთქიფანიძე, 2011. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი.

